



Հրահանգ Գրքանոց

№ 2

306080



ქრისტიანობისა

წმიდა ნინოს

ქართულ მართლმადიდებელ მრევლის  
ორგანო


LA CROIX DE SAINTE NINO

Bulletin paroissial de la Paroisse orthodoxe  
géorgienne de Paris

მარიაპოლისთვე, 1932 წ.

საქართველოს  
ეროვნული  
ბიბლიოთეკა

Paris, 1932



ფასი ხუთი ფრანკი

შინაარსი

1. სიტყვა, თქმული შობას 1931 წ.

Sermon de Noël, 1931

2. წერილები ჩვენი წარსული ცხოვრებიდან — წმიდა გიორგი ქართველი ერის შემოქმედებაში (ქართული წარმართობის შესახებ). გრ ფერაძე

St. Georges dans les oeuvres et créations de la Nation géorgienne, par Gr. Péradzé

3. ქებათა ქება — თარგმანი ძველი ებრაულიდან ვრ. ფერაძის მიერ.

Le texte du Cantique des Cantiques, traduit de l' Hébreux ancien, par Gr. Péradzé

მისამართი:

DJVARI VAZISSA  
4, Rue Récamier, Paris, 7

## სიტყვა

თქმული შობას 1931 წელს.

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა. წარსულ ქადაგებათა ქვემდებარე იყო ადამიანი — დახასიათება იმ ადამიანის ცხოვრების, რომელიც თუმც არა ადამიანური არც იყო და არც არის. მაგრამ რომელიც იყო არა ქრისტიანული ე. ი. ისეთი, როგორც გვიბრძანებს ჩვენ ჩვენი მაცხოვარი, მისი სახარება და წმ. ეკლესია. და ამის გამო ამ ადამიანის ცხოვრებასაც არც ნაყოფი ჰქონდა, არც ღირსება, წარუვლელიობა, არც მტკიცე საფეხურზედ იყო იგი დამყარებული. ჩემი ცდა იყო ამ ადამიანის ცხოვრება თქვენ თვალწინ გადამეშალა და არა თეორიულად, არამედ ნათელი მაგალითებით ცხად მექმნა და მხოლოდ ის მეთქვა, რაც თქვენ სულში ან ცხოვრებაში გამოძახილს იპოვიდა. დღეს მოვალეა ეკლესიამ ილაპარაკოს იმ საგნებზედ, რომლის ქვემდებარე არაა არც ადამიანი და არც ადამიანის ცხოვრება, არამედ თვით ქრისტე. დღესაა დღე ქრისტეს შობის. დღევანდელი დღიდან იწყება ბეთლემში მეორე ეპოქა კაცობრიობის ისტორიის, ახალი ხანა კაცობრიობის ცხოვრებისა.

ბეთლემი — ეს სიტყვა ნიშნავს პურის სახლს ე. ი. ბელს, და მის მაჩვენებელია, რომ მის არემარეზედ გლეხნი სცხოვრობდნენ და ბარაქა მისი მიწის ასაზრდოებდა მთელ მიდამოს და სწორედ განგების სურვილი იყო, რომ ამისთანა „ბელელში“ და კურთხეულ ქვეყანაში განკა-

ცებულიყო და მოვლენოდა სოფელს მეორე პური, პური სულიერი და ცხოველი, ურომლისოდაც ადამიანის ცხოვრება შეუძლებელია.

იმ ღამეს, ამ თითქმის 2000 წლის წინად, იმ ქალაქმა და მიდამოებმა იხილეს და განიცადეს საშინელი საიდუმლო, არა ყველამ, არამედ მხოლოდ სათნოიანთა. ცა გახსნილი, ბრწყინვალეობა წარმოუდგენელი, ანგელოზთა გუნდი მგალობელი დედამიწის და მთელი ბუნების მეტანია. მწყემსები იყვნენ პირველად, რომელთაც ეს იგრძნეს, დაინახეს და გაიგეს და მიჰყვნენ ამ ანგელოზთა გალობის ხმას და მიადგნენ ბოსელს, სადაც იწვა ბაგაში შემოსილი ძონძებით მაცხოვარი ჩვენი იესო ქრისტე და ისე როგორც ერთ ღროს პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა და ადამიანს მისი საიდუმლო და ძალა ასწავლა, ასევე დღესაც, მწყემსებმა გაიგონეს ანგელოზთა ჰიმნი: „დიდება მალალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“ — და ასწავლეს ეს ჰიმნი ადამიანთ, ჰიმნი, რომლის თითო ასო ოქროთ იწონის და რომელიც თავისი ღრმა მნიშვნელობითა და სიდიადით, თავისი სიმწველით ადამიანთა და ადამიანთა საზოგადოების აღმაშენებელი და გარდამქმნელი ძალით პრომეთეოსის ცეცხლს არ ჩამოუვარდება.

მწყემსები! განსაცვიფრებელი არაა, რომ არა ბრძენთ და მცოდნეთ, არა ძლიერთა და მდიდართ და მპყრობელთ ამა ქვეყნისა წილად ხვდა ბედნიერება ამ ანგელოზთა ჰიმნის გაგების, არამედ მწყემსებს, რომელთაც „თუმცა რევოლუციის არაფერი არ გაეგებათ“, მაგრამ პირველი და მძლავრი ცეცხლი ამ რევოლუციის კი ჩააგდეს ადამიანთა შორის.

არც ერთი დარგი ადამიანთა ცხოვრების, რომელიც დაკავშირებულია უშუალოდ ბუნებასთან, არა სდგას ამ ბუნებასთან ისე ახლო, როგორც მწყემსის. მწყემსი განიცდის ამ ბუნებას, ამ სიტყვის ღრმა მნიშვნელობით; ბუ-

ნების დროთა ცვლა არაა მისთვის ცარიელი ბუნების დროთა ცვლა, არამედ კოსმოგონია, — ღამე, რომელიც სცვლის დღეს, არაა მისთვის მხოლოდ უბრალო ღამე დასასვენებლად და დასაძინებლად, არამედ ბნელთა ძალთა მიერ უფლების და ბატონობის ხელში ჩაგდება; განთიადს ცისკრისას ესმის მას ცაში ანგელოზების ზართა რეკა, — მთელი თავისი არსებით ისაა მიჯაჭვული დედამიწაზედ, ესმის მისი ენა, მისი კვნესა და მისი სიხარული.

თავისი განცდებით და აზროვნებით მწყემსი ანტიური ადამიანია და ეს ანტიობა მას შერჩა დღევანდლამდე. და განსაცვიფრებელია, რომ ცოტა თუ ბევრად, ღრმად მოაზროვნე და მგრძობიარე ადამიანი ამ მწყემსების წრიდან გამოსული, შემდეგ, როდესაც ეცნობა ე. წ. კულტურასა და განათლებას, სტოვეებს ამას ყველაფერს და უბრუნდება ისევ უკან ბუნებას, სილაღეს, ნახევარ ველურ ცხოვრებას ბუნების კალთაზედ, იმ სიბრძნეს, რომელსაც ჩვენ ვერ განვიცდით, იმ ღრმა აზროვნებას, რომლის ფილოსოფია ჩვენთვის გაუგებარია და იმ მისტიკას, რომელიც ეკლესიისთვის უცხოა. ე. წ. „პასტორალი“, იდილია მწყემსური ცხოვრების არის მხოლოდ კარიკატურა ამ მწყემსური ცხოვრების, პირიქით, ესაა ის ჰიმნი და პირველი პოეზია. რომელიც ეკლესიამ თავის საღმრთო წიგნთა კანონში შეიტანა და „ქებათა ქება“ უწოდა.

ამ მწყემსებს ახარეს კაცობრიობის ახალი ხანა და ეპოქა, და ჩვენ პირველად ყოვლისა დღეს ღმერთს უნდა ვუმადლოთ, რომ ამისთანა მწყემსები ჰყვანან დღესაც ჩვენ ქვეყანას.

დღევანდელი დღიდან იწყება ხანა კაცობრიობის ბედნიერების და დღევანდელი დღიდან იწყება ტანჯვა და ხეტიალი ღვთის ადამიანთა შორის. — მისი, ვინც სამშობლო დასტოვა და საყდარი ცის და გადმოვიდა ადამიანთა შორის და დადის მას შემდეგ ამ ადამიანთა შორის უსამშობლოდ და უსახლკაროდ. მიადგება ყოველი ადა-

მიანის გულს და სთხოვს მას ბინას თავისათვის. იესო ქრისტე — უსამშობლო და დევნილი, გარიყული და წამებუ-  
ლი, — დღესაც, როგორც გოლგოთის დროს და საშუალო  
საუკუნოებში. ესაა ტრადედია ღვთიური სიტყვის, ჩა-  
ვარდნილს ადამიანთა წრეში და ესაა მეორე მხრივ ბედ-  
ნიერება ყოველი იმ ადამიანის, რომელიც მიუხვდება ამას,  
გაუღებს ღვთიურ სიტყვას თავის გულის კარებს და გა-  
იხდის მას თავის მეგობრად და თავის ცხოვრების თანა-  
მგზავრად. ჩვენც ვართ გადმოხვეწილნი და მე არა მგო-  
ნია, რომ სხვას რომელიმეს ისე ესმოდეს კარგად ფსიქო-  
ლოგია უსახლკარო და უსამშობლოსი. როგორც მას, ვი-  
საც ჰქონია ოდესღაც კარგი მამული. იესო ქრისტეც  
არის ჩვენისთანავე მდგომარეობაში და ეძებს ჩვენისთა-  
ნებს. რაღას ვფიქრობთ! რაღას ველოდებით! რისთვის  
ვდგევართ კუნჭულებში? რისთვის ვიმალებით? შევი-  
კრიბნეთ და შევერთდეთ ამ ბაგაში დღეს მწოლარე მა-  
ცხოვართან და გავიხადოთ იგი ჩვენი პატარა და ღირსე-  
ული ქართული კერის და ცხოვრების მფარველად და მე-  
გობრად უცხოეთში. ამინ.

## წერილები ჩვენი წარსული ცხოვრებიდან

წმ. გიორგი ქართველი ერის უამოქმედეგაში.

(ქართული წარმართობის შესახებ)

ამ უკანასკნელ დროს გაცხოველებული ყურადღებაა  
მიქცეული ქართულ წარმართობისადმი. სპეციალურად ერ-  
თი მომუშავეც გაუჩნდა ამ დარგს ბ. სერგო მაკალათიას

სახით. რომელმაც უკვე სამი დიდათ საინტერესო წერი-  
ლი გამოაქვეყნა წარმართობის გასაშუქებლად. აგრეთვე  
ბ. ვ. ვეზენდონკმა და მ. წერეთელმა უძღვნეს მონოგრა-  
ფიები ამ საკითხს და პროფესორ ივ. ჯავახიშვილის „ქა-  
რთველი ერის ისტორია“-ში (ტფ. 1928) მესამე გამოც.  
წარმართობას პირველ გამოცემასთან შედარებით თვალ  
საჩინო ადგილი უჭირავს. (1).

ადვილი ასახსნელიცაა ეს მოვლენა: ესაა უმთავრესი  
და კარდინალური საკითხი ჩვენი წარსული კულტურის.  
თუ ზოვ ისტორიკოსს იგი აინტერესებს მხოლოდ ქართ-  
ველთა ძველი ბინადრობის ან სხვა ერებთან მისი დამო-  
კიდებულების გასაშუქებლად და ენათ-მეცნიერს ეტი-  
მოლოგიისათვის, მით უმეტეს ეს საკითხი უნდა აინტე-  
რესებდეს ყოველ ქართველს, რომელსაც სურს თავისი  
ერის ფსიხიკის და სულის შეგნება. მისი ქრისტიანობის ე.  
ი. ქართული ქრისტიანობის გაგებისათვის აუცილებელივ  
საჭიროა ქართული წარმართობის შესწავლა. ცნობილია,  
რომ წარმართობის ხანის დაგროვილი კულტურული სა-  
უნჯე და მიღწევანი, მთელი სულიერი ნამუშევარი ათასი  
წლების არ დაიკარგა. არამედ ქრისტიანული ფენის ქვეშ  
დღევანდლამდე გადმოგვეცა.

წარმართობის შესასწავლად მასალა ორგვარია: უპირ-  
ველესია ეს ხალხური თქმულებანი, ზღაპრები, ანდაზები  
და სხვა; აგრეთვე წესები სხვადასხვა დღეობათა, ზნე-ჩვე-  
ულებანი ქართველ სხვა და სხვა ტომთა. საბედნიეროდ,  
უკვე დროზედ შეიგნეს ამ მასალის მნიშვნელობა და შე-  
უდგენ მის შეკრებას. ეს მასალა სამწუხაროდ გაფანტული  
არის ქართულ-ეურნალ-გაზეთებში და შეუძლებელია,  
რომ მკვლევარმა შესძლოს მით სარგებლობა, — ამიტომ  
უპირველესი მეცნიერული მოვალეობაა მისი ერთად,  
სისტემატიურად დალაგებული გამოცემა.

გარდა ამ გარდმოცემათა არსებობს აგრეთვე მეორე  
გვარის მასალა: წერილობითი: საგულისხმო ცნობანი ქა-

რომელ მათიანებში: — ქართლის მოქცევა, ნინოს ცხოვრება და იოანე ზედაზნელის ცხოვრებაში. ამ ცნობებს ექვის თვალთ შებედა ნ. მარრმა და აზრიც გამოსთქვა, რომ ისინი, ე. ი. პანთეონი, უნდა იყვნენ შექმნილნი არაბული ლიტერატურის გავლენით-ო. ვეზენდოკის აზრით, რომელიც ჩემის რწმენით დაუსაბუთებელია, არაბთა შემოსევამ მე-7 საუკ. შექმნა საქართველოში მხოლოდ წარმართობის რენესანსი (ნოიე ვიდერბელეზუნგ, (გვ. 10). ვეზენდონკი გულისხმობს აშკარად ქართულ ეროვნულ წარმართობას. რაც შეეხება თვით მარრის მოსაზრებას, ვეზენდონკი, დაუსაბუთებლად, მას სიმართლეს მოკლებულად სთვლის. მ. წერეთელი თავის მონოგრაფიაში შეეცადა რეჰაბილიტაცია გაეწია ქართული წერილობითი წყაროებისათვის და უხვად ისარგებლა, მაგრამ მარრის აზრი ისევ აზრად დარჩა და მეცნიერების პირველი მოვალეობაა ეს აზრი გააშუქოს. მკვლევარი არ უნდა დაფრთხოს იმ გარემოებამ, რომ მისი ცდა ნეგატიურ შედეგებს გამოიტანს. მეცნიერების პროგრესისათვის ხანდახან დასაბუთებული ნეგატიური შედეგი უფრო ღირსშესანიშნავია და პერსპექტივებით სავსე, ვიდრე პოზიტიური ცნობილია, რომ არაბებმა დიდი კულტურული ძალა ამუშავეს მთელ აღმოსავლეთში; მათ მოსპეს სპარსული კულტურა და ერთგვარი სინტეზი გაუწიეს თვით ვულგარულ ქრისტიანობას მაჰმადიანობასთან და სხვა. არაბული ენა და ლიტერატურა მეფობდა მთელ აღმოსავლეთში; ჩვენი მათიანეებიც დაიწერენ არაბების ბატონობის დროს. ადვილი შესაძლებელია, რომ ავტორებმა არაბული ენა იცოდნენ და არაბული წყაროებით სარგებლობდნენ.

რაც შეეხება თვით ხალხურ თქმულებებს, მათდამი სასტიკი კრიტიკაა საჭირო და მკვლევარმა მათ უნდა დეზინფექცია უყოს, მანამ რაიმეს თავის მიზნისათვის გამოიყენებდეს. ცნობილია, რომ ყოველი ერი ძლიერ ხში-

რად ამახინჯებს თავის გმირს: იგი მას ან აღმერთებს ან თუ იგი მას არ მოსწონს, მიწასთან ასწორებს, და ერის მიერ დაწუნებულნი მუდამ არა-პატიოსანი პიროვნებანი არ არიან!

ამ ძლიერ მოკლე შესავალის შემდეგ, იმ უამრავ პრობლემებიდან, რომელნიც ჩვენ წარმართობას შეეხებიან, შევჩერდები აქ მხოლოდ მთვარეზე, და უკეთ რომ გამოვსთქვა ჩემი აზრი, გავუზიარებ მკითხველს იმ დაფიქრებას, რომელიც უნებლიედ მომდის ხოლმე პროფესორ ჯავახიშვილის გამოკვლევის -- მთვარისა და წმ. გიორგის — კითხვის დროს.

## 1. მთვარის კულტი

პროფ. ჯავახიშვილის აზრით — წარმართობის ხანაში საქართველოში იყო გავრცელებული მნათობთა თაყვანისცემა და მათ შორის პირველი ადგილი ეკავა მთვარეს; ამ უმაღლესი ღვთაების ადგილი შემდეგ, ქრისტიანობის დროს დაიკავა წმ. გიორგიმ. ეს თეზა ორი არგუმენტითაა დასაბუთებული: 1) მთვარე ქართულში მამაკაცია და 2) სტრაბონის აღწერილობას მთვარის კულტის შესახებ ალბანელთა შორის უპირდაპირებს როგორც პარალელს ე. წ. თეთრი-გიორგის დღესასწაულის წესებს.

ა) რა სქესისაა ქართულში მთვარე?

ჯ. აზრით მთვარე ქართულში მამობრივი სქესისაა (მზე კი დედობრივის). ამ აზრის დასამტკიცებლად, ვინაიდან ქართულში არტიკულაცია ან რაიმე მტკიცე კანონი სქესთა განსაზღვრისა არ არსებობს, მას მოჰყავს შემდეგი ხალხური ლექსები:

1. ნათელმა მთვარემა ბრძანა —  
ბევრით მე ვჯობივარ მზესა.  
დაჯდა, დასწერა წიგნები,  
ზენა ქარი მიათრევსა.

მზეს რომ კაცი მიუვიდა.

მზე ძალიან გაჯავრდესა:

„მე და ვარ და ის ძმა არის.

რად ვძულდებით ერთმანეთსა“.

2. დაიძინე. გენაცვალე. იავ, ნანიანა,

მზე დაწვა და მთვარე შობა. იავ, ნანიანა.

3. ბჟა დია ჩქიმი

თუთა მუმა ჩქიმი.

ხვიჩა ხვიჩა მურიცხები

და დო ჯიმა ჩქიმი.

მზე დედაა ჩემი.

მთვარე (თთუე) მამაა ჩემი,

სხვა და სხვა ვარსკვლავები

და და ძმაა ჩემი.

(იხ. ჯავ. გვ. 53-45)

პირველი და მეორე ლექსი დარჩება ჯ. ხელში ყოველთვის მძიმე არგუმენტად. მეორეში კი არის მხოლოდ ფიგურალური გამოთქმა (შეადარე ლე სოლეი კუშან), მაგრამ ჩემთვის გაუგებარია ის მოვლენა, თუ მართლა ჩვენ ერს მთვარე მამაკაცად მიაჩნდა და მთვარე იმავე დროს უმთავრესი ღვთაება იყო მისი, რომ იგი რაიმე ეპიტეტით არ აღენიშნოს ისე, როგორც მაგალითად. დედა-მიწა, ადგილის-დედა და სხვა. ან თვით სტრაბონს არ ეთქვას: მთვარე ალბანელთა შორის მამაკაციაო. ვინაიდან იგი, მთვარე, ბერძნულში დედობრივი სქესისაა: ან, ყოველ შემთხვევაში, შეიძლება მთვარე მუდამ მამაკაცის ეპიტეტად არ დარჩენილიყო. ქართულ ლიტერატურაში კი საწინააღმდეგოს ვხედავთ: — „ვეფხისტყაოსან“-ში მთვარე (როგორც მზე) ეპიტეტია კაცის და ქალის და უმეტესად უკანასკნელია; რომ მზე და მთვარე ერთმანეთს ეყრებიან, მთვარე მუდამ ქალია (მაგ. ტ. 100. 1463); ქალი დაბადებისას ჰგავს მზეს (მაშინვე მზესა ჰგვანდა, 305). მაგრამ რომ იზრდება და მშვენდება, იგი უკვე ემზავსება

მთვარეს (შვიდისა წლისა შეიქმნა ქალი წყნარი და ცნობილი. მთუარისა მგზავსი. შვენებით მზისაგან ვერ შეფლობილი. 310): ვაჟკაცი ედარება მთვარეს თავის უწვერულობის ჰასაკში (9); მზე ქალიცაა (155, 157, 261, 300, 329, 1113, 1244...) და კაციც (123, 150, 206): რაც შეეხება მთვარეს. იგი მომეტებულ წილად ქალია (394, 508, 620, 8, 648, 717 და სხ.). ქალია მხოლოდ: პირი მანგი (ე. ი. მთვარე): პირი ელვათა მკრთობელი (1173, 1437): პირ ბაკშიანი (1432, 212) ე. ი. მთვარეს დამახასიათებელი მომენტები. ამავე კომპლექსს ეკუთვნის ქალის დამახასიათებელი უმაღლესი სიმშვენიერე: მზეთუნახავი ე. ი. პირი მანგი. შესაძლებელია, რომ რუსთაველს ქალის სიმშვენიერის ტიპი: ტანი ალვა. პირი მანგი (94) შექმნილი ჰქონდეს სპარსული ლიტ. გავლენით. კერძოდ ფირდოუსის (დ. 935 ან 936 წ.). რომლის თხზულება „შაჰნამე“-ში ქალი მშვენება. აგრეთვე ტანი ალვაა და პირი მანგი.

მთვარე (ისე როგორც მზე, მზე-ჭაბუკი) ხალხურ თქმულებებში და საერთოდ ლიტერატურაში არეულად იხმარება; ეს დამოკიდებულია თვით მგოსანის აღმაფრენაზე და გუნებაზედ. და თვით ქართულში ისინი არიან ორთავე სქესის მატარებელნი.

ბ) სტრაბონის აღწერილობა და „თეთრი გიორგობა“.

სტრაბონი. ქრისტეს უფროსი თანამედროვე, (66 ქ. წ. — 24 ქ. შ.) თავისი გეოგრაფიის მე-11 წიგნში იძლევა ალბანელთა შორის გავრცელებულ მთვარის თაყვანისცემის დღესასწაულის შემდეგ აღწერილობას: —

„ალბანელები. როგორც ღმერთებს, სცემენ თაყვანს მზესა, ზევსს და მთვარეს, მეტადრე მთვარეს. მთვარის ტაძარი იბერიის მახლობლად მდებარეობს. მეფის შემდგომ ყველაზე უფრო პატივცემულ კაცად ის ითვლება, ვინც ტაძარს ემსახურება; იგი დიდსა და მჭიდროთ დასახლებულს ხატის მამულს განაგებს და ხატის ყმების უფროსად ითვლება. რომელთა შორის ბევრი ქადაგად დაეცემა ხო

ლმე და წინასწარმეტყველებს; იმას, ვინც მეტად ატაცებული, ტყეებში მარტოკად დახეტიალობს, ქურუმი დაიჭერს, კისერზე ჯაჭვს დაადებს და ერთი წლის განმავლობაში კარგად ასუქებს; შემდეგ იგი. მირონცხებული, სხვა საღმრთოებთან ერთად, ღმერთს მსხვერპლად ეწირება. მსხვერპლად შეწირვა ამნაირად იციან: ადამიანის მსხვერპლად შეწირვა ჩვეულებრივ ლახვარის საშვალეებით იციან ხოლმე: ერთი კაცი, რომელსაც ამგვარი ლახვარი აბარია, ხალხითგან გამოვა და ხერხიანად ლახვარს შიგ გულში ჰკრავს ხოლმე. როცა (ლახვარ-ნაკრავი მსხვერპლი) დაეცემა მიწაზე (ქურუმები) სხვა და სხვა ნიშნების მიხედვით. მკითხაობენ და საჯაროდ ხმა-მალლა აცხადებენ ხოლმე. როცა გვამს ერთ რომელიმე ადგილს მიიტანენ, თავიანთი თავის გასაწმენდათ ფეხს დაადგამენ ხოლმე“.

(ჯავ. 45; ხელთ მაქვს სტრაბონის გეოგრაფიის ავ. მაინეკეს გამოც. (ბერძნულად) გვ. 706-7, ლაიპციგი, 1877)

ამ დიდათ საინტერესო აღწერილობიდან მნიშვნელოვანია ჩვენთვის შემდეგი მომენტები: 1) ხატის ე. ი. მთვარის მონებიდან ბევრი ეცემა ქადაგად და წინასწარმეტყველად, 2) ვინმე ატაცებული (საჭიროა არაა, რომ იგი ხატის მონა იყოს) ტყეებში დახეტიალობს. წარმართობის ხანაში ამისთანა პიროვნება, რასაკვირველია, რომელიმე ღვთაების მიერ (გინდა მთვარისაგანაც) ატაცებული ეგონათ (2).

მეორე საინტერესო მომენტი, რომელიც ქართულ წარმართულ წარმოდგენას ეწინააღმდეგება არის შემდეგი: გვამი დაცემულის მიაქვთ ერთ რომელიმე ადგილს და არა ერთ დანიშნულს, როგორც ჯ. თარგმანშია. ქართ. წარმართობაში დიდ როლს თამაშობს ადგილი, დანიშნული ადგილი, ადგილის დედა. შეიძლება აქედან დასკვნის გამოტანა, რომ სტრაბონი ზედმიწევნით არ სცნობს ჩვენ წარმართობას და ამის გამო შეუძლებელი არის მისი ცნობა აუტენტიურ წყაროდ ჩაითვალოს.

ეხლა საჭიროა თეთრ-გიორგობის გათვალისწინება.

„ს. აწყურში 14 აგვისტოს საღამოთი, ქართლიდან, კახეთითგან, ქიზიყ. თუშ-ფშავ-ხევსურეთითგან დიდძალი მლოცავი მოიყრის ხოლმე თავს. მოსული ხალხი ჯერ ეკლესიის გალავანს გარს შემოუვლის ხოლმე სამგზის, ან არა და შვიდ გზის; მარჯვნივ დასავლეთის კარებითგან იწყებენ სიარულს და მარცხნივ მიდიან, სანამ ისევ იმ კარებს არ მიაღებებინ; ასე სამჯერ ან შვიდჯერ. ორივე გუნდი „დიდებას“ გალობს ხოლმე რიგ-რიგად, ხან დედაკაცთა გუნდი, ხან მამაკაცთა გუნდი: „დიდება და ღმერთსა დიდება, წმიდა გიორგი ცხოველო, შენ სალოცავად მოველო“. საღამოს ზარს დაარისხებენ თუ არა, ხალხი ეკლესიისკენ გაეშურება ხოლმე. ამ დროს ერთი თეთრი-გიორგის მონათაგანი დაეცემა ეკლესიის დასავლეთის კარის ბჭესთან თავით ჩრდილოეთისაკენ, ისე რომ საყდარში შესვლა არ შეიძლებოდეს, თუ რომ კაცი ან ზედ არ გადააბოტებს, ან ზედ არ შესდგება. მღვდელმა და ხალხმა მონაზე უნდა გადაიაროს; რაც უნდა ძალიან დაადგან ფეხი, იგი მაინც სცდილობს კრინტი არ დასძრას. ეკლესიას რომ შემოუვლიან, გალავანში შეკრებილი ხალხი ქუდ-მოხდილი ირგვლივ სდგას და მოწიწებით ერთ-ერთს თეთრებში შემოსილს მოთამაშე მონა-ქალს შესცქერის. მოცეკვავე შეუწყვეტლივ, გატაცებით უვლის. იგი თეთრი გიორგის ხატის მონაა და ხატი აცეკვავენ. დრო-გამოშვებით ქალს გულითგან გმინვა ამოუვარდება ხოლმე და იკრუნჩხება.

ეკლესიასთან შეკრებილი ხალხი, რომელსაც ალთქმა აქვს დადებული, შეწირული ცხვრებითურთ, მღვდელს გარშემო ეხვევა. მღვდელი საღმრთოს შუბლზე მატყლს შესტრუსავს ხოლმე და თითონაც შემდეგ ლოცვას ამბობს: „წმ. გიორგი, შეიწირე საღმთო მონისა შენისა“-ო. და სახელს დაუმატებს; იქვე დიაკვანიცა სდგას; დიაკვანთან მლოცავები მივლენ ხოლმე, ყელზე შანა აქვთ შებმული და წმ. გიორგის მონებად ითვლებიან; მათ განსაზღვრული

ვადით აღიქმა აქვთ დადებული, როცა ვადა გაივლის, მონები ხატის კარზედ მიდიან სალოცავად და მონობის ასახდელად. დიაკვანი მონებს შანას შექხსნის და განათავისუფლებს ხოლმე. თეთრ ტანისამოსში მონა ქალები ამ დროს ჩოქვით საყდარს გარშემო უვლიან. თითოს მათგანს კისერზე თეთრი გიორგის ეკლესიის მძიმე რკინის ჯაჭვი ადევს და ყველანი ნაზის ხმითა გალობენ და თანაც ანთებულ სანთლებს კედელზე აკრავენ ერთი ბამბის ძაფს ახვევს კვირის-ტავით ეკლესიის გარშემო. ეკლესიის მიდამოში მთელი ღამე ცეცხლი ანთია“. (ჯ. გვ. 46).

ამ აღწერილობის შემდეგ ჯ. დასძენს:— „საკვირველი მსგავსებაა!.. ცხრამეტმა საუკუნემ განვლო მას შემდეგ, რაც სტრაბონმა პირველად აღწერა მთვარის დღესასწაული; ქართველმა ხალხმა ჯერ თაყვანისმცემლობა მიიღო, მერე კიდევ ქრისტიანობა; ამ ორმა სარწმუნოებამ ხანგრძლივი, ძლიერი გავლენა იქონია ჩვენ ეროვნულ აზროვნებასა და ზნეფჩვეულებებზე, მაგრამ მაინც ასე საუცხოვოდ არის შენახული უძველესი სარწმუნოების კვალი“. (იხ. პროფ. ივ. ჯავახიშვილის „ქართ. ერის ისტ.“ გვ 47).

სამწუხაროდ მე ამგვარ მსგავსებას ამ ორ დღესასწაულთა შორის ვერ ვხედავ. უპირველეს ყოვლისა საჭირო იყო თეთრ-გიორგის დღესასწაულის ანალიზის გაწევა ე. ი. აღნიშვნა მრავალი ფენების, როგორც წარმართულის, ისე ქრისტიანულის. დღესასწაული რომ ღამით სრულდება, ეს არაა იმის მაჩვენებელი, ვითომ თეთრ-გიორგობა მთვარის ხატობა იყოს ან თვით ღამის თევას რაიმე კავშირი ჰქონდეს საკრალურ მთვარესთან. სტრაბონი, რომელიც ერთად-ერთი წყაროა, ღამის შესახებ კრინტსაც არა სძრავს; მის აღწერილობიდან ადამიანს შთაბეჭდილება რჩება, რომ ყველაფერი დღისით სრულდება: იმ ატაცებულს დღისით იჭერენ (ტყეებში მოხეტიალის ღამით დაჭერა არც ისე ადვილია) და აგრეთვე დღისით სწირავენ მას მსხვერპლად, ვინაიდან ხერხიანად ლახვრის კერა, და-

ცემის ნიშნების მიხედვით მკითხაობა, გვამის რომელიმე ადგილას მიტანა და გადაბოტება უფრო დღეს გულისხმობენ, ვიდრე ღამეს.

ღამით დღესასწაულს (კერძოდ ღამის თევას) ან საღამოთი დაწყება რომელიმე უქმის საჭირო არაა, რომ მთვარესთან ქონდეს რაიმე კავშირი; ეს მოვლენა ათასგვარ მისტერიულ რელიგიებს ჰქონდათ. თვით ებრაელები საღამოთი იწყებდნენ თავის დღესასწაულებს; შესაძლებელია, რასაკვირველია, რომ ქრისტიანობის დღესასწაულების წესში წარმართობამ დიდი გავლენა იქონია, მაგრამ ამისი დამტკიცებაა საჭირო.

ღამის თევა, უკეთ, ღამით დღესასწაული თვით ქრისტიანულ ნიადაგზედაც შეიძლება აღმოცენებულიყო; პირველ თვით ქრისტეს სიტყვებიდან (3) და იგავიდან ხუთ ბრძენ და ხუთ სულელ ქალწულთა შესახებ, სადაც სიძე მიდის შუა-ღამეს და ნეტარ არს მონა იგი, რომელიც მას დახვდება მღვიძარედ. გარდა ამისა, თვით დევნულება აიძულებდა პირველ ქრისტიანებს ღამით შეკრებილიყვნენ სალოცავად.

ჯაჭვის, უკეთ, მავთული შანის შებმა ყელზედ არაა პარალელი იმ ჯაჭვისადმი, რომელსაც ატაცებულს აბამდნენ, რომ არ გაქცეულიყვნენ; აქ თავისი ნებით იბამენ მლოცველნი ამ შანებს და არა ერაი ან ორი, არამედ მრავალნი, და სიმბოლოა მონობის, დაბმულობის; ჯაჭვს აქვს სიმბოლიურ—ემბატოლოგიური შინაარსი.

თეთრ გიორგის დღესასწაული საინტერესოა ორ მხრივ: იგი მიძინების დღეს სრულდება (14-15,8) და 2) ხალხის გალობა: წმ. გიორგი ცხოველო და სხ. აშკარაა, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს აღმოსავლეთში გავრცელებულ გიორგი ხიდრთან. ხოლო საქართველოში, ეს აღმოსავლ. ვულგარული არაბული სიტყვა, ქართული შესატყვისით: „ცხოველ“-ად არის თარგმნილი; თუ 14-15 მთვარის აღვსებაა, ამას აქვს პირველი კავშირი მიძინებასთან, რომელიც რო-

გორც დღესასწაული ერთ-ერთი უძველესთაგანია საქრისტიანოში და თუმცა სავალდებულო დღესასწ. რანგში აიყვანა კეისარ მაერიკიოსმა (588-602), ხალხში მიძინებას დღესასწაულობდენ უკვე ეფესოს საეკლესიო კრების წინადაც (431) და მივრიკიოსმა მხოლოდ ანგარიში გაუწია ხალხის ჩვეულებას: როგორც დღესასწაული მიძინება იყო მუდამ 14-15,9 ე. ი. იწყებოდა 14 საღამოთი. საღამოს დაწყებას არავითარი კავშირი არა აქვს საკრალურ მთვარესთან. ეს წესი გადმოიღეს ქრისტ. ებრაელებისაგან; თვით მიძინების დაწესება მთვარის აღვსებაზედ საქართველოში კი არაა გაჩენილი, არამედ იმპორტია საქართველოში. მკვლევარი ჯერ მოვალეა გამოარკვიოს ორი საკითხი: — როდიდან შეიძლება აღმოსავ. საქართველოში გიორგის კულტის დამტკიცება და რაა შინაარსი მთვარის, როგორც საკრალური არსის; რა შინაარსით ან ძოწეული შეიმოსა წმ. გიორგიმ საქართველოს ნიაღვრედ, და ერთმანეთთან დაპირდაპირება: ან მთვარის გავლენის წმ. გიორგიზედ აღნიშვნა ე. ი. ქრისტეანული გიორგის გაწარმართება, ან წმ. გიორგის გავლენის მთვარეზედ აღნიშვნა ე. ი. წარმართი მთვარის გაქრისტიანება.

#### ბ) სამსახიანი წმიდა გიორგი აღმოსავლეთში.

არც ერთმა წმიდანმა აღმოსავლეთში ისეთი სიყვარულილი არ მოიპოვა როგორც წმ. გიორგიმ. ლეგენდების შარავანდით შეიმოსა მისი სახე. ერმა არ დაზოგა თავისი ფანტაზია რელიგიური თუ ლიტერატურული, რომ ეს თავისი გმირი აემალლებინა; თავისი სიმწვერვალით იგი უახლოვდება ღვთაებას; ჩვენ ძველ თქმულებებში ღვთაებაზედაც კი მალლა სდგას იგი. ასეთი ლეგენდარობის მიუხედავად, გიორგი, როგორც ისტორიული პიროვნება, თუმცა ამაში ბევრს ექვი შეჰქონდა და შეაქვს, კიდევ არ არის დაჩრდილული. შეიძლება ითქვას დანამდვილებით, რომ იგი იყო ჯარისკაცი: ახალგაზდა, გამბედავი და თავდადებული და თვისი რწმენის გამო იგი იწამა დიოკლე-

ტიანეს დროს. რამოდენიმე ათეულ წელი არც კია გასული მისი წამების შემდეგ, რომ იწყება მისი კულტი და აქ, ამ კულტის ჩანასახთან კი არა, არამედ მის უმწვერვალეს განვითარებასთან გვაქვს საქმე — ჯერ მის სამშობლოში, ლიდდაში და მავე დროს თითქმის მთელ აღმოსავლეთში ლეგენდა ლეგენდაზედ ითხზება ერის მიერ მის შესახებ და ელვის სისწრაფით ვრცელდება იგი ათასგვარი ვარიაციით. ერთი ვარიაცია მდიდარია და შინაარსიანი მეორეზედ და თვით ისტორიული პიროვნება მითიურ წარმოდგენებითაა სავსე.

ხალხის შემოქმედებითი ფანტაზიის მიერ ქმნილ წმ. გიორგის ცხოვრებას მეცნიერებაში ორი სახელი აქვს: — ა) ხალხური წიგნი ან-და ბ) დადიანეს ვერსია წმ. გიორგის წამების; დადიანეს, მიტომ, რომ გიორგი უნდა წამებულიყო სპარსეთის კეისარ დადიანეს მიერ, მის 72 მორჩილ მეფეთა თანადასწრებით. გიორგი კვდება სამჯერ და სამჯერ ცოცხლდება. ამ დადიანის წიგნის გიორგი იმდენათ მითიური, ფანტასტიური და სასწაულთ-მომქმედი იყო, რომ ეკლესიისთვისაც კი იგი მეტისმეტად მიუღებელი აღმოჩნდა და აღკრძალა. საინტერესოა, რომ რომ პირველად დადიანეს გიორგი შეტანილია რომის ინდექსში პაპი გელაზის მიერ (მე-5 საუკ). შემდეგ მე-9 საუკ. მსოფლიო პატრ. ნიკეფორემ აღკრძალა ეს რომის გავლენის ქვეშ საბერძნეთში და თვთ საქართველოშიც წმ. გიორგის დადიანესი აღკრძალულია ექვთიმეს მიერ მის შესანიშნავ ინდექსში, რომელიც მან ათონის მთიდან მოიწერა. (4).

თვით საქართველოში ეს დადიანეს ვერსია ცნობილი უნდა ყოფილიყო უკვე ექვთიმეს წინ, თორემ ის მას არ აღკრძალავდა. სამწუხაროდ, აღკრძალვის შემდეგ მოუსპიათ მისი ხელთნაწერები. შესაძლებელია ამით აიხსნას ის გარემოება, რომ დღემდე, დადიანეს გიორგის ხელთნაწერნი, ექვთიმეს წინ დაწერილნი, ცნობილნი არ არიან ჩვენში. ამ აღკრძალვის მიუხედავად, თეოფილე ხუცეს-მონა-

ზონი მე-12 საუკ. სთარგმნის ამ დადევანეს ცხოვრებას (კე-კელიძე. გვ. 471). ყოველ შემთხვევაში ამ დადევანეს ცხოვრებამ დიდი როლი არ ითამაშა თავისი ქართული სახელის მიუხედავად. და თუ რად მოხდა ეს ამას დავინახავთ.

1 ესაა გიორგის ერთი სახე აღმოსავლეთში: ნაყოფი ხალხის შემოქმედების და შერეული უხვად მითიურ და წარმართულ წარმოდგენებთან.

პატ. ნიკეფორეს მიერ დადიანეს წამების აღკრძალვის შემდეგ, ჰკიდებენ ხელს ბერძენნი ჰაგიოგრაფები ამ წმიდანს და სცდილობენ მასალის მიხედვით (დადიანეს უპირველესი) ერთგვარი მეცნიერული ცხოვრების მოცემას. გამოჩენილი ამათში იყო ნიკეტა-დავითი, რომლის აზრით დადიანეს ცხოვრების ისტორია (5) შედგენილი უნდა ყოფილიყოს თვით ეშმაკის მიერ, რომელიც მამაა სიცრუისა, მხოლოდ იმ მიზნით, რომ წმ. გიორგიში, როგორც ისტორიულ პიროვნებაში, ეჭვი შეტანილიყო. ამ მეცნიერულ ვერსიათა თარგმანი გვაქვს ქართულად გიორგი მთაწმინდელის მიერ (სვიმეონ მეტაფრასტის ტექსტიდან). ამ მეცნიერულ განვითარებასთან დაკავშირებულია მჭიდროთ თვით იკონოგრაფიაც. მე-10 საუკ. გიორგი იხატება, როგორც უბრალო ჯარისკაცი. მე-10 საუკუნიდან ის უკვე ცხენზედ ზის და მე-12 საუკ. ჰკლავს ვეშაპს (6).

2 ესაა გიორგის მეორე სახე აღმოსავლეთში: ნაყოფი ერთგვარი ცდის მითიურ წარმოდგენებიდან ერთგვარი სიმართლის ამოკრეფვა: ეს გიორგი შედეგია განათლებულ სამღვდელთა და ერისკაცთა, გავრცელებული აგრეთვე განათლებულ სფეროებში და მფარველი მხედრობის.

დავუბრუნდეთ ისევ ხალხს. მიუხედავად იმისა, რომ მისი შემოქმედება აღიკრძალა კი არა, არამედ თვით ეშმაკის ნაშემოქმედათაც გამოცხადდა, ერში გიორგიმ პატივისცემა და სიყვარული ამითი არ დაჰკარგა. ძნელია ამ ხალხური გიორგის დახასიათება, იმ მესამე გიორგის, რომელიც ნაყოფია ხალხის რელიგიური შემოქმედების. ორი

პერიოდია კი აღსანიშნავი: მაჰმადიანობის წინ და შემდეგ. არაბთა შემოსევამ მთელ აღმოსავლეთში კი ვერ მოსპო ეს ქრისტიანული წმიდანი, რადგან მის კულტს მტკიცედ ჰქონდა ხალხში ფესვები გამდგარი, არამედ თვით არაბებმა გადაიღეს ქრისტიანებისაგან ეს კულტი და მაჰმადიანობის ქვეშ გატარებული. შეერთებული ილიასთან. იქცა ხიდრათ ე. ი. ცხოველათ. მისი კულტი სრულდება ლამით, დაკავშირდა ხეებთან. თილისმებთან, მკითხაობასთან და სხვა. ჩემი მიზანი არაა იმის აღნიშვნა, თუ რა სახეები მიიღო მან მის ტრიუმფალურ გზაზედ საქართ—კენ და შემდეგ თვით საქართველოში რა მიემატა მას სპეციფიური ქართული. არც მასალა მაქვს ხელთ, რომ ამ მიზანს ხელი მოვკიდო.

ამგვარად მთელ აღმოსავლეთში არსებობს გიორგი - სამება. გიორგი, როგორც მხედარი-ჯარისკაცი უკვე დამთავრდა მე-12 საუკუნეში ვეშაპის მოტივით; გიორგის, როგორც ნაყოფს ხალხური ლიტერატურის შემოქმედებისას გადაეღობა წენ ეკლესია და მოსპო. რაც შეეხება მესამე გიორგის, ნაყოფს ხალხური რელიგიური შემოქმედებისას, მას, როგორც ყოველ რელიგიურ შემოქმედებას ან ცხოვრებას, არც საზღვარი აქვს და არც კალაპოტი.

#### ღ. სამსახიანი წმ. გიორგი საქართველოში.

როგორც აღმოსავლეთში, საქართველოშიაც გიორგი სამ-სახიანია. ამათში გიორგი როგორც მხედარი, რასაკვირველია. იმპორტია, — რომელი გზით და როდის, ამას შემდეგ დავინახავთ; იმპორტია აგრეთვე, ჩემის აზრით, გიორგი ცხოველი, რომელიც ჯ. მთვარის მოადგილეთ მიიჩნია. გავიმეორებ მხოლოდ, რომ მასალების უქონლობის გამო, იმისი გამოკვლევა არ ძალმიძს, თუ რა სახით შემოვიდა საქართველოში გიორგი ცხოველი და რა მიემატა ან დააკლდა მას ჩვენში.

მაგრამ რაც შეეხება დადევანეს გიორგის ესე იგი მცირე აზრის ხალხურ ლიტ. შემოქმედების ნაყოფს, საქართვე-

ლოში იგი მაინც და მაინც გავრცელებული არ ყოფილა. ეს გიორგი — ფანტასტიურ-ბუმბერაზი, უცხო იყო ქართველი ერისათვის, რომელსაც რეალობა და სიმარტივე ახასიათებს. ჩვენში შეიქმნა საკუთარ ჩვენი გიორგი, გიორგი ნაყოფი ჩვენი ეროვნული ლიტერ. შემოქმედების; ჩვენი ეროვნული ლიტერატურის შემოქმედების ერთერთ უმთავრეს გმირთაგანი არას ნაცარ-ქექია და სწორედ ამ უკანასკნელის თვისებებს ვხედავთ წმ. გიორგიზე გადატანილთ

საკმარისია იმ ხალხურ გადმოცემაში, რომელიც ჯ.-ს მოჰყავს, ოდნავად ჩახედვა. რომ ადამიანს ეს ეცეს თვალში. წმ. გიორგი სჯობნის ელიას და ღმერთს. მაგრამ არა ძალით და ღონით, არამედ ხერხით; მას არა აქვს ძალა; ის ხედავს თუმცა, რომ ღმერთი თვითონ უსამართლოდ ან თავის გუნების და ჟინის მიხედვით იქცევა. იცის აგრეთვე, რომ იგი ღმერთი არაა, მაინც ეშინია მას აშკარა ბრძოლა გაუმართოს; წმ. გიორგი რომ ყოფილიყო. ამისთანა ღმერთს ხმლით თავს წააგდებინებდა. ამ ჩვენი ხალხური წმ. გიორგის ე. ი. ნაცარქექიას დევიზია: „ხერხი სჯობია ღონეს“-ო: დარბის, ატყუებს ღმერთს, დააქვს ამბები, აფრთხილებს გლეხს, აძლევს მას დარიგებებს და სხვა. ხალხურ ნაცარქექიასთან შედარებით, ჩვენ მხოლოდ ერთი პროგრესი გვაქვს ქრისტიანული გავლენის ქვეშ. იმ დროს, როს ხალხურ ზღაპრებში ნაცარქექია თავისი საკუთარი, უკეთ, თავისი ძმისა და რძლის გამორჩენაზედ სცდილობს, აქ უკვე ეს ნაცარქექია — გიორგი — ეთიურად მალლა სდგას და ფიქრობს უკვე საწყალი ხალხის კეთილდღეობაზედ.

ნაცარქექია არაა ჩვენი ხალხის იდეალი, არამედ რეალობაა ჩვენი ცხოვრების და ერის ნაწილის სიმბოლო: — ზარმაცი, გაუბედავი, ზრდილი, სუსტი, და უღონო. მაგრამ თუ გაჭირვება თავზედ დაადგა და უკანასკნელი კრიტიკული წუთი მოვიდა, იგი შემძლებელია მთებიც კი გა-

დაატრიალოს. სძლევს დევებს და იმონებს მათ მხოლოდ ხერხითა და გამჭრიახობით.

ნაცარქექიაში განსახიერებელია ქართველი ერის შეხედულებანი 1) უხეშ ბუნებაზე, რომლის დამონება შეიძლება მხოლოდ ხერხითა და ჭკუით, 2) წარმართულ ღმერთებზე: მათთან არც სიმართლე გადის, და არც ჭეშმარიტება და მხოლოდ ისევ ხერხითა ე. ი. მათი გულის მოგებით, გარეგნული ქლესიობით შეიძლება მათი დაწყნარება და 3) და თვით ჩვენს ისტორიულ ცხოვრებაზე; ქართველი ხალხი მუდამ მასზე უძლიერესი მტრებით გარშემოზღუდული, იძულებული იყო მტერთან ერთგვარი ენა გამოეძებნა ან ხერხით ემოქმედა და თავი გადაერჩინა.

მცირე აზიაში და საბერძნეთში სამსახიანია წმ. გიორგი (მხედარი და მეორე სახე ორ-განყოფილებიანი: ვულგარული ლიტერატურული და ვულგარული დადენეს, და გიორგი ცხოველი). საქართველოშიაც ამგვარი არის ერთი ს მხრივ გიორგი მხედარი, მფარველი მხედრობის, იდეალი მეფეთა და მოწინავე საზოგადოების: გამბედავი, თამამი. რუსთველის: სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი, — სადაც გმირი მხოლოდ სიმართლის, სიყვარულის გულისათვის კვდება, და მეორე მხრივ, მისი ღვიძლი ძმა, უკეთ, იგივე მეორე სახით, ნაცარქექია — მხდალი, ორქოფი, მატყუარა, — ორთავე ემსახურებიან ერთ საქმეს.

კ. მაყაშვილმა ალლო აულო ამ ერის შემოქმედებას და აგრეთვე გენიალურად დაასრულა იგი. ამ რამოდენიმე წლის წინად (1920?) რომელიღაც ქართულ გაზეთში დაიბეჭდა მისი ლექსი (სათაური არ მახსოვს), რომელიც ნაცარქექიას შეეხება. შინაარსი მოკლედ ასეთია: მგოსანს ღამე არ სძინავს, დევები, ქაჯები, ეშმაკები, გველეშაპები და მთელი ბნელეთის სამეფოა შეიარაღებული, ძილს უფრთხობს; ათასგვარი ფანტაზმებითა და მოჩვენებებით სავსეა ოთახი; მგოსანს თმა ყალყზედ უდგება; ყვირილი

აღარ შეუძლია: სიკვდილი წინ სდგას; ამ დროს ჩნდება ნა-  
ცარქეჯია და ერეკება მათ ოთახიდან. ათავისუფლებს  
მგოსანს. მგოსანი. როს ხედავს ნაცარქეჯიას, ამბობს:

ოჰ, ნაცარქეჯიავ. შენა!  
სალამი მშობლიურ გმირს!  
ამეხსნა ბედკრული ენა,  
ღიმილი მომიღის პირს;  
დავწვები ლოგინში წყნარად,  
ძილითა შევიქცევ თავს.  
ქაჯებო, დევებო, ღარად,  
მე ნაცარქეჯია მყავს!

კოტე მაყაშვილმა ამ ხალხურ ნაცარქეჯია—გიორგიში  
ერთი ნაბიჯი წინ წადგა მისი ე. ი. ნაცარქეჯიისა და წმ.  
გიორგის დასაახლოვებლად. მაყაშვილის ნაცარქეჯია არ  
არის უკვე მხდალი ან ხერხიანი, არამედ არის გამბედავი  
და თამამი; ამითაც ვგონებ, გენიალურად დასრულდა ეს  
განვითარება. შემდეგში თუ ვინმემ მოინდომა ნაცარქე-  
ჯიის ცხენზედ შეჯდომა ან ვეშაპის კვლა, გვექნება მხო-  
ლოდ წმ. გიორგის კარიკატურა ერთის მხრივ და მეორე  
მხრივ თვით ჩვენი ნაცარქეჯია ჰკარგავს თავის ბუნებრი-  
ვობას და უშუალობას; დასრულებულია აგრეთვე მხედა-  
რის ტიპი წმ. გიორგის; გამოსარკვევია მხოლოდ, თუ რა  
სახე მიიღო ამათ ბერძნულთან ან მცირე აზიასთან შედა-  
რებით საქართველოს ნიადაგზედ. უკეთ, თუ რა წვლილი  
შეიტანეს თვით ქართველებმა ამ მხედარის შემოსვაში.  
ამის გარკვევა მაშინ იქნება შესაძლებელი, როს წმ. გიო-  
რგის ცხოვრების ქართული ვერსიები გამოცემული იქნე-  
ბიან; რაც შეეხება თეთრ-გიორგის ან გიორგი ცხოველს-  
ხიდრს, ის ნაყოფია ერის რელიგიური შემოქმედებისა და  
მოთხოვნების და ისე, როგორც სხვაგან, მას ვერც სა-  
ზღვარი დაედება და ვერც კალაპოტი.

შესაძლებელია ამ მოკლე ისტორიულმა აღწერილობამ ძლიერ შორს წამიყვანა და თვით თემასაც გადავუხვიე, მაგრამ ამავე დროს საჭირო იყო ეს წმ. გიორგის პიროვნების გასაგებად, შემდეგში მთვარისადმი დაპირდაპირებისათვის.

2. როდის ჩნდება აღმოსავლეთ საქართველოში წმიდა გიორგის კულტი.

მკვლევარი, როგორც ზევით მოვიხსენიე, მოვალეა გიორგისა და მთვარის აღნიშვნის დროს, ყურადღება მიაქციოს იმდენად გარეგნულ ნათესაობას კი არა, რამდენად სულიერს. პირველი პრობლემაა: როდის მოისპო ჩვენში მთვარის კულტი; მერმე, რა კულტი დაწესდა ან გამეფდა მის შემდეგ; ქრისტიანობის დროს რომელმა წმიდანებმა ან დღესასწაულებმა უფრო მეტად მიიზიდეს ხალხის ყურადღება და სიმპატია; რა დახვდა თვით გიორგის საქართველოში როს იგი შემოიჭრა და უპირველეს ყოვლისა, როდის ჩნდება ჩვენში წმ. გიორგის კულტი ან საიდანა იგი შემოტანილი.

ჯავ.-ს აზრით, „ქართველი ერი არა მხოლოდ თქმულებებში, არამედ აგრეთვე თვით ცხოვრებაშიაც ყველაზედ მეტად თაყვანსა სცემს წმ. გიორგის. არც ღმერთისა (სამება?) და იესო ქრისტეს, არც ერთი წმიდანის სახელობაზედ არ მოიპოვება იმდენი ტაძარი საქართველოში, რამდენიც წმ. გიორგის სახელობაზეა აშენებული. ჯერ კიდევ 14-15 ს. გერმანელი მოგზაური ჰ. შლიტბერგერი სწერდა, რომ ქართველები წმ. გიორგის მეტის მეტად თაყვანსა სცემენო. ხოლო ვახუშტის აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში „არ არიან ბორცუნი და მალაღნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წ. გ.“. ამას გარდა ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ თითქმის ყველა უმთავრესი ეკლესიები და დღეობები საქართველოში წმ. გ. სახელ. ხალხში გავრცელებულია კიდევ რწმენა, რომ საქართველოში იმდენი წმ. გიორგის ეკლესიაა და იმდენი წ.

გიორგი, რამდენიც წელიწადში დღეებია; ერთი სიტყვით ვახუშტის ზემომოყვანილი ცნობა, რომ მთა არ მოიპოვება საქართველოში, სადაც მის მწვერვალზედ წმ. გიორგის ეკლესია არ იყოს, ძალიან გაზვიადებული არ არის და ჭეშმარიტებას უახლოვდება“ (43-44). ჯავ.-ს ნათქვამი, რასაკვირველია, სიმართლეს შეიცავს, თუ ჩვენ სახეში ან თანამედროვე ეპოქა გვექნება ან საქართველო ვახუშტის ან შლიტბერგერის დროს, მაგრამ მეცნიერებისათვის უპირველესად ყოვლისა საინტერესოა იმის აღნიშვნა, თუ როგორ იყო საქმის მდგომარეობა აღმოსავლეთ საქართველოში გაცილებით წინ, თუ მე-4 და მე-5 საუკ. არა, ე. ი. ქრისტიანობის შემოსვლისა და გავრცელების დროს, ყოველ შემთხვევაში მე-10 საუკუნემდე.

შემთხვევაა მხოლოდ, რომ მე-11 საუკუნედან მე-18-ის გასვლამდე საქართველოს ტახტზე 13 გიორგი ზის და იქამდე არც ერთ მეფეს გიორგი არა ჰქვიათ. კათალიკოზთა რიცხვშიაც მოთავსებული მე-10 საუკ. სამი გიორგი-დან ორი რაღაც გაუგებრობის შედეგი უნდა იყოს, სახელდობრ გიორგი (419-422) გრიგოლის მაგივრად და მეორე გიორგი (677-) შესაძლებელია გაბრიელ მონოფიზიტის ადგილზე (ნატროშვილი, სვეტი-ცხოველი, გვ. 452-3). თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მეფენი, როგორც სხვაგან, ისე ჩვენშიაც (იმ ხანებში) უმთავრესად წარმართულ, უკეთ, ტრადიციონალურ წინაპართა სახელებს ამჯობინებდნენ ქრისტიანულს; მეორე მხრივ, თუ ვახუშტის და შლიტბერგერის მოწმობას მე-10 საუკ. სიმართლეს მივანიჭებთ, გასაოცარია, რომ ისეთ წმიდანის სახელს, რომელსაც დღეობა ჰქონდა და არც ერთი ბორცვი არ იყო, რომ მაზედ წმ. გიორგის ეკლესია არ მდგარიყო, — რომ თვით მეფეებს, ხალხის გულის მოსაგებად მაინც, ეს სახელი თავის ონომასტიკონში არ გადაეტანათ. რაც შეეხება კათალიკოზებს, თუმც შემდეგ 10-12 საუკ. გიორგი ძლიერ გახშირებულია ბერებთა წრეში (გიორგი მერჩული, გიორგი

ოპიზელი, გიორგი სონელი, გიორგი ოწელი, გიორგი მთაწმიდელი, გიორგი ბერი, ხუცეს-მონაზონი, გიორგი ოლთისარი, გიორგი ოშკელი, გ. შეყენებული ანტიოქიაში, გ. ვარაზვაჩე, ივერიის მონასტრის წინამძღვარი, გ. ჭყონდიდელი და სხვანი). მაინც და მაინც გიორგი ბერების საყვარელი ან სპეციალური წმიდანი არ იყო. და თუმცა წმ. მამათა შედარებით ბერი იგივე მხედარია — ეკლესიის ჯარისკაცი — დიდი ნათესაობა მაინც არ არის ამ გიორგი მხედარის და ბერ მხედარის ე. ი. მინამ ბერი მხედარი რჩებოდა უხილავ ძალთა წინააღმდეგ და არა ხილულ მტერთა, ე. ი. მაჰმადიანების და სხვა მტერთა წინააღმდეგ. ბერი ებრძოდა უპირველეს ყოვლისა თავის საკუთარ თავს ე. ი. იმ ცოდვის ჩანასახებს და ნაყოფებს, რომელნიც მას ხელს უშლიდენ სრულყოფის გზისკენ ღვთისადმი მიახლოვებას. სისხლის ღვრა ე. ი. ერის გარეგნული მტრების ხოცვა, თუმცა ამას ჩვენი ბერებიც ჩადიოდენ, აიხსნება სამშობლოსადმი, უკეთ, ეკლესიისადმი უაღრესი სიყვარულით, მაგრამ ეს მოვლენა ბერობის იდეალს არ შეადგენს.

ამის გამო აშკარაა, რომ ბერობაში გიორგის სახელის გავრცელება უნდა იყოს გავლენა ერის ე. ი. თავდაპირველად ხალხში უნდა ყოფილიყო ეს სახელი გავრცელებული და შემდეგ ბერებმა გადაიღეს ეს ერისაგან. ქართული ონომასტიკონი სამწუხაროდ იმდენად დამუშავებული არ არის, რომ შეიძლებოდეს იმის თქმა, თუ რამდენად იყო ეს სახელი ერისკაცთა შორის გავრცელებული. ერთად-ერთი ერისკაცი, რომელსაც გიორგი ერქვა (და რომელიც მე შემხვდა მე-10 საუკუნემდე) იყო გიორგი ჩორჩანელი. მე-11 საუკ. სერაპიონ ზარზმელის მფარველი. შესაძლებელია ეს მოვლენა მით აიხსნას, რომ მთელი კულტურა და ლიტერატურა მე-10 საუკ. ბერების ხელში იყო და ჩვენამდე მხოლოდ ბერ-მწერლების მაშინდელმა სახელებმა მოაღწიეს.

რაც შეეხება გიორგის საგალობლებს, მე-10 საუკ. ბე-  
ვრი არაფერი. უკეთ, არა დაწერილა რა. იოანე მინჩხი (მე-  
10 საუკ.), აფხაზთა მეფე გიორგის დავალებით (კეკ. 169)  
წ. გიორგის საგალობლებს სწერს. აბუსერიძე ტბელის (მე-  
-12 საუკ.) გარდა დავით გურამიშვილი და ალექსი მესხი-  
შვილი სახეში არ მოვლენ, ვინაიდან ისინი უკვე თითქმის  
ჩვენი თანამედროვენი არიან.

თვით ვახუშტის მოწმობა, ვითომ ერთი ბორცვიც არ  
იყოს საქართველოში რომ გიორგის საყდარი არ იდგეს,  
ვახუშტის დროისათვის ჭეშმარიტებაა, მაგრამ მე-10 საუ-  
სხვანაირადაა საქმის ვითარება. წმ. ნინოს უძველეს ცხო-  
ვრებათა მიხედვით, მირიანი აშენებს წმ. ნინოს საფლავ-  
ზედ ეკლესიას — ვის სახელობაზედ, ნაჩვენები არაა. მა-  
გრამ საბინინმა უკვე იცის! (იხილეთ მისი ქართ. ეკლესიის  
ისტორია მე-ნ საუკუნემდე. რუსულად. პეტ. 1877, გვ. 45,  
შენ.2) იცის, რომ ეს ეკლესია წმ. გიორგის სახელობაზედ  
იყო აშენებული! (საიდან იცის?) ხოლო დღემდე ცნობილი  
ფაქტი ასეთია: 1044 წ. შენდება გიორგის მონასტერი მა-  
ნგანას, პეტრიწონის 1084 წ. გიორგის სახელობაზედ, მე-  
12 საუკ. ვაჰანის ქვაბთა, წმ. გ. სახელობაზედ. ყველა ეს  
ხდება მე-11 საუკუნეში და შემდეგ.

ამას გარდა, თუ აღმოსავლეთ საქართველოს დღესასწაუ-  
ლებს ანალიზს გავუკეთებთ, დავინახავთ შემდეგს: კახეთ-  
ში: გიორგის და ქრისტ. უპირველეს ხანის შორის სდგას  
მიძინება ე. ი. თავდაპირველად მიძინებას უქმობენ და შე-  
მდეგ ეს დღე გიორგის (თეთრი გიორგის) დღედ გადაიქ-  
ცა ქართლში ე. ი. ერწო-თიანეთში და აუშ-ფშავ-ხევსუ-  
რეთში გიორგის დღეობას ორგვარი სახელი აქვს, მაგალ-  
გორის ჯვარი იმავე დროს გიორგისაა, ლაშარის ჯვარი —  
გიორგი (გერის თავი ვგონებ მიძინებაა) ე. ი. თავდაპირ-  
ველად ერი დღესასწაულობდა ქართულ სპეციფიურ დღე-  
სასწაულს — ჯვარს — და შემდეგ გიორგიმ თავისი სი-  
ძლიერით დაჩრდილა ეს დღესასწაული.

თუ როდის დაიწყო ან დამთავრდა ეს პროცესი, მასალების უქონლობის გამო, თქმა არ შემძლია, ყოველ შემთხვევაში, შლიტენბერგის დროს ეს უკვე დამთავრებული უნდა ყოფილიყო. აღსანიშნავია მხოლოდ ის, რომ ბერბიცი კი, მიუხედავად თავის სამშობლოსადმი უაღრესი სიყვარულისა, ხედავდენ, რომ გიორგი მათი წმიდანი არ იყო და ნელ-ნელა ზურგს აქცევდნენ მას. მე-11 საუკ. გავრცელებული ბერთა შორის გიორგი მე-12-ში უკვე იშვიათად გვხვდება. ბერები უბრუნდებიან თავიანთ მეუღაბნოებს, რაც ადვილი გასაგებია, და უტოვებენ გიორგის სახელს მხედრებს ე. ი. ქართული საზოგადოების იმ ნაწილს, რომლის ვალი იყო სამშობლოს დაცვა.

ყველა ზემორე-თქმულს სრულიად არ აქვს მიზნად იმის დამტკიცება ვითომ აღმოს. საქართ. მე-10 საუკ. წმ: გიორგი სრულიად ცნობილი არ იყო, ან ნაკლები პატივი ქონდა მასქართველთა შორის, არამედ მხოლოდ მისი, რომ მეცნიერებს ნება არა აქვთ, მოწმობანი, რომელნიც შეეხებიან მე-14—15 ან მე-18 საუკ. (ვახუშტი). ამ წმ. კულტის უმწვერვალესად განვითარების დრო, იმდენად განასაზოგადოონ, რომ ისინი ქართველი ერის ცხოვრების მე-4—10 საუკუნეთა ამონარეკლად ჩასთვალონ.

რომ წმ. გიორგი დიდ პატივისცემას განიცდიდა უკვე მე-10 საუკუნემდე, ამის ცხადი მოწამეა საკუთარი ქართული დღესასწაული 9 ნოემბერს. ეს უკვე იცოდნენ ძველადვე ქართველებმა, მაგალ. გიორგი მთაწმიდელმა და სცდილობდენ, ეს სპეციალური ქართული დღესასწაული არ მოსპობილიყო; უძველესი ქართული ვერსიის იერუსალიმის განჩინებაში (მე-7 ს.), აგრეთვე მის პარიზულ ქართულ ვერსიაში ეს დღე შეტანილია. რით აიხსნება ეს მოვლენა, ამის გამორკვევა ძნელია. შესაძლებელია, საქმის ვითარება ასე იყო: საბერძნეთის ეკლესია წმ. გიორგის ხსენებას დღესასწაულობს 23 აპრილს, 3 ნოემბერს დღესასწაულობს მისი ტაძრის განახლებას; საქართველოში

შეიძლება 3 ნოემბერს უკვე რომელიმე წმიდანით აღნიშნავდნენ, რომლის ხსენება შემდეგ მოისპო ან სოციალურ ან პოლიტიკურ მიზეზის გამო უხერხული გახდა და ამიტომ გადაიტანეს გიორგობა სწორზედ. (7). მთელი საქრისტიანო უქმეების ერთ დანიშნულ დღიდან სხვა დღეზედ გადატანის დროს, მომეტებულ წილად, ორ წესს მისდევდა: თუ თვითონ დღის რიცხვს ჰქონდა მნიშვნელობა და არ სურდათ ეს რიცხვი მოსპობილიყო, იტანებოდა ეს დღესასწაული იმავე რიცხვის ექვსი თვის შემდეგ. თუ, პირიქით, რიცხვს იმდენი მნიშვნელობა არ ჰქონდა, რამდენიც თვით თვეს, იტანდნენ დღესასწაულს იმავე თვის მხოლოდ დანიშნულ დღის სწორზედ. ჩვენში, როგორც სჩანს, თვისათვის უფრო მეტი მნიშვნელობა მიუციათ, ვიდრე დღისათვის, — შესაძლებელია მიტომ, რომ ალბად უკვე იმ ხანებში ნოემბერს გიორგობისთვე ერქვა და ექვსი თვით რომ დაეწიათ, ამ თვეს უკვე თავისი მნიშვნელობა, როგორც გიორგის თვის, დაეკარგებოდა. ამ სპეციფიურ ქართულ დღესასწაულის შესახებ საინტერესოა, ფრიად გაუგებარი, მე-18 საუკ. მოღვაწის ალექსი-მესხიშვილის მოწმობა (კეკელიძე, გვ. 384-5).

გავუყვითოთ რეზიუმე თქმულს.

ჯავახ. მართალია როცა ამტკიცებს, რომ მთვარესა და ქრისტიანობის შუაში სდგას ცეცხლისთაყვანისმცემლობა, თუმცა, ჩემის აზრით, მ. წერეთლის აზრი უფრო უნდა უახლოვდებოდეს ჭეშმარიტებას, რომ ც. თ. არ იყო გავრცელებული მთელ ქართველ ერის შორის, არამედ მხოლოდ უმაღლეს არისტოკრატიულ და მართველ წრეებში. ასეა თუ ისე, წმ. გიორგის კულტის უმაღლესი განვითარების, რომელიც მე11—12 საუკ. უნდა მომხდარიყო, და წინა საუკუნეების დღესასწაულის შორის გვაქვს: მიძინება, ჯვარი, ალექსი-მესხიშვილის მოწმობით, ამაღლება (თელეთობა), ე. ი. წმ. გიორგიმ შთანთქა ყველა ეს დღესასწაული. შეიძლება ეს შთანთქმის პროცესი ვახუშტის

დროს დასრულდა. რომლის ცნობით, ყოველ დღე ქართველებს გიორგობა ჰქონიათ და ამის გამო, რასაკვირველია, ყოველ-დღიური წმიდანნი და დღესასწაულნი, არა მხოლოდ უბრალონი, არამედ უმთავრესნიც კი (ამაღლება!) წმ. გიორგის მსხვერპლად ქცეულან. თვით წმ. გიორგი მხედარის უნდა გავრცელებულ, უკეთ, ცნობილ ყოფილიყო მესხეთიდან, მესხების მიერ. პირველი ამ სახელის მატარებელი იყვნენ მესხები. ეს მხედარი იყო ცნობილი, (როგორც დღესაც) მხოლოდ განათლებულ წრეებში და მხედრობაში, და მაშინდელი განათლებული ქართული საზოგადოება მესხებისაგან შესდგებოდა; როდესაც მესხების დინასტიამ საქართველოს ტახტი ზელთ იგდო, მან ყოველ მხრივ შეუწყო ხელი ამ წმ. კულტის განვითარებას; გიორგი ცხოველი შემოტანილ უნდა იყოს საქართველოში არაბების მიერ, უკეთ, საქართველოში არსებული გიორგის კულტის განვითარებას შეუწყვეს ხელი არაბებმა ე. ი. იმ ვულგარულ რელიგიურმა წარმომადგენლებმა, რომელნიც არაბებს თან მოჰყვებოდნენ.

### 3. შინაარსი მთვარის, როგორც საკრალური არსის.

რაც შეეხება მეორე საკითხს, თუ რაა შინაარსი მთვარის ქართულ ნიადაგზედ (როგორც საკრალური და არა ასტრონომიული) არსის, ამის შესახებ, სამწუხაროდ, ბევრის თქმა არ შემოძლია. მათ, ვისაც ხელში მეტი მასალა აქვთ, საინტერესო იქნებოდა, რომ ამ საკითხისათვის მიექციათ ყურადღება. იმ ხალხურ ლექსიდან — „ნათელმა მთვარემა ბრძანა“ — რომელიც ზევითაა მოყვანილი და რომელიც ჩემის რწმენით ერთ-ერთი უძველესი ხალხური ლექსთაგანია, გამოტანილი დასკვნა მთვარეს დადებითად არ ახასიათებს. ჯერ ერთი უკვე „ბრძანა“-ში ისმის ხალხის ირონია ამ ღვთაებისადმი. იგი ტრაბახაა. თავისი საკუთარი თავის მალმერთებელი („ბევრით მე ვჯობივარ მზესა“) სწერს წიგნებს ე. ი. წერილებს გზავნის ყველგან მხოლოდ და მხოლოდ მისთვის, რომ აშკარად გახადოს,

რომ იგი სჯობია მზესა. ჩვეულებრივი მოქმედება ყოველ უნარ მოკლებულ პიროვნების!.. მზეს, პირიქით, სიყვარულისა და მშვიდობის დამყარება სურს. ამ ლექსიდან აშკარაა, რომ ხალხურ თქმულებებში მზე მთვარეზედ მაღლა სდგას. აგრეთვე სხვა ლექსებშიაც მხოლოდ მზეს აქვს ძალა ადამიანის გაცოცხლების:

მზეო, ამოდი, ამოდი,  
ნუ ეფარები გორასა,  
სიცივეს კაცი მოუკლავს...

ან თვით „ვეფხისტყაოსანში“ ტარიელის წერილიდან:

... მზეო, რადგან ჩემთვის ნათლად აღმოჰხდები, აჰა,  
მკუდარი გამაცოცხლე (ტ. 369)

ხევსურელი ხევის-ბერის დალოცვაში: „დიდება ღმერთსა, დიდება მზესა, დიდება მთვარესა“ და სხვა; მზე მთვარეზედ წინაა მოხსენებული. აგრეთვე ავთანდილის მიმართვაში მზისა და პლანეტებისადმი მთვარე სულ უკანასკნელ ადგილზეა (ტ. 956-974), მზით შექმნილი მრავალი საალერსო სიტყვა შესაძლებელია თავდაპირველად კულტის სიტყვები იყოს ქართულში: -- ჩემმა მზემ, ამომავალი მზის მადლმა, მზით გაიხარო, მზის ყურებით გაგაძლოს ღმერთმა, მზიანი პირი, მზისიერი, მზეკეთილობა (ბედნიერება), ენამზეობა (მჭერმეტყველება), მზეობა; აგრეთვე: მზე დაგიბნელდეს, მზე გაგიქრეს, მზე გასაშვებელო, (ნატროშვილი, სვეტი-ცხოველი, გვ. 71-72). მთვარის შესახებ ამგვარი ეპიტეტები არსად შემხვედრია. მზის შესახებ გვაქვს ქართულში უუძველესი წარმართული ლექსი; შესაძლებელია ლოცვაა იგი მზისადმი. „მზე შინა და მზე გარეთა. მზევ შინ შემოდიო“ და სხვა. ჩემის აზრით, ჯავროდესაც მას მთვარე უმაღლეს ღვთაების რანგში აპყავდა, ვალდებული იყო მზისთვისაც ორიოდ სიტყვა ეძღვნა და აზრი მკვლევართა (მაგ. ნატროშვილი), რომ მზე ქართველების უმაღლესი ღვთაება იყო, გაებათილებინა.

თუ მზე მეტ წილად დედობრივ სქესადაა გამოყვანილი, ესეც იმის მაჩვენებელია აგრეთვე, რომ ქართველი ერი მზეს პატივსა სცემდა, ვიდრე მთვარეს, ვინაიდან ჩვენში დასაბამიდან ქალის კულტი იყო (უმწვერ. განვითარება მე-12 საუკ., თამარის დროს) და ამის გამო ქალად იყო წარმოდგენილი. მაგრამ ერს, ჩემის აზრით, თავის დღეში აზრადაც არ მოსდიოდა, რომ მზე დედაკაცი იყო. ისე, როგორც „ქაჯან“ (ქალო ჯან) მიმართვასაა ორთავე სქესისადმი ან თემის ხეობიდან გლეხები (შეიძლება სხვაგანაც) თავიანთ კომისარს და მღვდელსაც კი საუბარში „შენ ხარ ჩემი ქალბატონი“-ო, ეუბნებოდნენ (1919-20 წწ.), რასაკვირველია მხოლოდ თავიათ მოსაუბრის პატივსაცემლად.

რაც შეეხება სიტყვა „მთვარე“-ს, რომელიც ჯავ.-ის მიერ ზედმიწევნითაა შესწავლილი და გამოკვლეული, იგი უნდა იყოს ქართული სიტყვა. სპარსული სიტყვა მთვარისათვის არის „მანგ“. მხოლოდ ერთხელ გვხვდება „ვეფხისტყაოსან“-ში პირი მანგი. შეცდომა იქნებოდა, ჩემის აზრით, თუმცა მდებარე მიზნისათვის ხელსაყრელი, რომ მთვარეს „მანგ“ ჰქონდეს რაიმე კავშირი მეორე სპარსულ სიტყვასთან „მანგ“-თან, რომელიც ნიშნავს სიცრუეს (შეადარეთ ოსური „მენგ - ევდისენთე“ — ცრუ მოწმენი). „მანგ“-ი ქართველებსაც აქვთ სპარსულიდან ისევე, როგორც სომხებს. სომხურად „მანგ“ ან „მანკ“ ნიშნავს სიცრუეს; ქართულად „მანკი“ (აქედან უმანკობა), „მანკიერი“ შესაძლებელია ამ „მანგ“-დან იყოს წარმოებული.

სპარსულ „მანგ“ — მთვარედან ნაწარმოებია ქართულად (ისე როგორც სომხურადაც) მანგალი (დღევანდელი ნამგალი) ე. ი. ნახევარი მთვარე, ნახევარი წრე. საღმრთო წერილში იხმარება მანგალი, თარგმანებშიაც. განურჩევლად, როგორც ნამგლისთვის. ისე კელისთვის. ახალ აღთქმაში გვხვდება ეს სიტყვა მხოლოდ ორჯერ, მარკოზი 4.29. განცხადება 14.14. აღსანიშნავია, რომ ოპიზის (913 წ.),

ჯრუჭის (936 წ.) და ტბეთის 995 წ.) სახარებანი, მარ. 4  
29. მანგალს ხმარობენ. უძველეს ქართულ სახარებაში —  
ადიშის (897 წ.) (პრ. თაყაიშვილის გამოცემა) მანგალის  
მაგიერად „მლული“-ა ნახმარი.

ამ წერილს არ ჰქონდა მიზნად იმის ჩვენება, ვითომ ქა-  
რთველებს მთვარის კულტი არ ჰქონოდათ ან მთვარე მა-  
თი უმაღლესი ღვთაება არ ყოფილიყო. შეიძლება ჯავ.ის  
აზრი სიმართლეს შეეფერებოდეს, მაგრამ დამტკიცებას  
მტკიცე არგუმენტები აკლია, უკეთ, ყველაფერი (მაგალ.  
მზესთან დამოკიდებულება) გათვალისწინებული არ არის.  
ჩემთვის ყოველთვის საეჭვო იყო მისი აზრი, ვითომ მთვა-  
რის ადგილი წმ. გიორგის ეკავოს. რაიმე სულიერი კავ-  
შირი რომ იყოს ამ ორ გმირთა შორის ან რაიმე ნათესა-  
ობა, ადვილი იქმნებოდა ეს მოვლენა, მაგრამ იმ არგუმენ-  
ტების შემდეგ, რომელნიც ჯავ. მოჰყავს და რომელთაც  
ზევით ერთგვარი ანალიზი გავუკეთე, არა მგონია, რომ  
ეს აზრი სიმართლეს შეიცავდეს. მთვარეა თავის თავად და  
წმ. გიორგი თავისთვის. თუ წმ. გიორგის დღესასწაულთ  
საქართველოში ყოველთვის მთვარის აღვსებასთან ან და-  
კლებასთან რაიმე კავშირი აქვთ, ამ კავშირის მოსპობა  
შეუძლებელია, ვინაიდან საქართველოში გიორგის ყოველ  
დღე აქვს დღეობა და ერთგვარი შეხლა მთვარესთან მო-  
სალოდნელი უნდა იყოს. მკვლევარმა, როგორც ზევით  
ნათქვამია, მტკიცე საზღვარი უნდა შექმნას მთვარის, რო-  
გორც საკრალურ და როგორც ასტრონომიულ არსის შო-  
რის. აღდგომა და მასზე დამყარებული დღესასწაულნი  
(კვირაცხოვლობა, ამაღლება და მარტვილობა საერთოდ  
საქრისტიანოში, ჩვენში გარდა ამ დღესასწაულებისა. გო-  
რის ჯვრობაც აღდგომის აწორს). აგრეთვე სხვა დღესას-  
წაულნი, მიძინება და სხ. მთვარეზედ იყო ნაანგარიშევი  
არა ქართველების მიერ, არამედ შემოტანილია იგი საქა-  
რთველოში, და თუ უთითებენ მთვარეზე, პირველად ყო-

ვლისა როგორც ასტრონომიულ და არა საკრალურ არსზე. თვით მთვარის დღესასწაულის წესში (სტრაბონის აღწერით) და თეთრ-გიორგობაში (ილია ზარაფიშვილის, - იხ. ჯავ.) ჩვენ ზევით ერთგვარი ნათესაობა ვერ დავინახეთ. იმის თქმა მაინც არ შეიძლება, რომ რომელიმე ქრის. წმიდანი წარმართული ღვთაების ადგილზედ იყოს ე. ი. გიორგი მთვარის ადგილზედ. ან-ლოგები ბევრი გვაქვს: შობის დღესასწაული 25 დეკემბერს უწველეს წარმართ ღვთაების დღესასწაულის ადგილზეა; თვით წესი გერმანელთა შორის (ნაძვის ე. ი. შობის-ხე) წარმართული წესია. არა მგონია ვინმეს აზრად მოსვლოდა მხოლოდ ერთგვარი ნათესაობის ან თუ საჭიროა. რაიმე წარმართული წესების (ქრისტ. ეკლესიაში და თვით წირვაშიაც არა ერთი და ორი წარმართული წესია გადმოღებული) გადმოღებით იმის თქმა, რომ წარმართულ ღვთაების ადგილი რომელიმე წმიდანს დაეჭირა.

მე იმას არ უარუპყოფ (პრინციპში), რომ წმ. გიორგი მთვარის ადგილს იყოს. ჩვენ არა ერთი და ორი მაგალითი გვაქვს იმისი, რომ რომელიმე ქრისტიანული წმიდანი არის რომელიმე წარმართული ღვთაების ადგილზედ, მაგრამ რომ წმ. გიორგი მთვარის ადგილზეა დღეს ე. ი. რომ წმ. გიორგიმ მიითვისა ყველა ის პატივი, რაც მთვარეს ჰქონია ქართული წარმართობის დროს, ეს მე ვგონებ ჯ. მიერ მტკიცე არგუმენტებით არაა დამტკიცებული.

ბონნი, 1928.

გრიგოლ ფერაძე

### შენიშვნები:

1. ბ. სერგო მაკალათიას შრომებიდან ხელთ მაქვს მხოლოდ სამი: ფალოსის კულტის შესახებ, მიტრას კულტის შესახებ და ახალწელიწადის შესახებ საქართველოში. პ. მიხ. წერეთლის შრომის სათაურია: ხეთის ქვეყანა, მისი

ხალხები, ენები. ისტორია და კულტურა (კონსტანტინე-პოლი, 1924); გიორ. ვეზენდონკის შრომა ქართული წარმართობის შესახებ დაიბეჭდა გერმანულად ჟურნალ „კალუკაზიკა“-ში (ლაიპციგი, 1924); ნ. მარრი — ღმერთები წარმართული საქართველოსი (რუსულად); კეკელიძე ნიშნავს მუდამ: „ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტ. 1. (ტფ. 1923); მონუმენტა, მის ქართულ ჰაგიოგრაფიულ ძეგლების გამოცემას (პეტრ. 1918); ნატროშვილი — სვეტი-ცხოველი (რუს. ტფ. 1901); ვეფხის ტყაოსანის ციტატები მომყავს სარ. კაკაბაძის გამოცემიდან (ტფ. 1927). ესაა უმთავრესი ლიტერატურა, რაც შეეხება ამ წერილის ფორმას, იგი დანიშნულია ფართო საზოგადოებისათვის და ამის გამო ვეცადე. რაც შეიძლება პოპულიარულად დამეწერა; სამწუხაროდ. ძველი ქართული ორთოგრაფიის დაცვა შეუძლებელია.

2. დღევანდელი ცხოვრების ტერმინი რომ ვიხმაროთ, პათოლოგიური პიროვნება, რომელსაც მაშინ (ისე როგორც დღეს ჩვენ სოფლებში წესია) ტყეებში აგდებდნენ. მე თვით ვიყავი მოწმე ერთი ამისთანა გიჟის, რომელიც დუშეთის მაზრაში არანისის და ჟირნვალს შუა ტყეებში სცხოვრობდა. (1917 წ.).

3. მარკოზი 13,33 — 35: იღვიძებდით უკვე რამეთუ არა იცით ოდეს უფალი სახლისა მის მოვიდეს, მწუხრი, ანუ შუა ღამეს ანუ ქათმისა ხმობასა.

იგავი ათ ქალწულთა შესახებ. მათე: 25 თ. 1—13: იღვიძებდეთ უკვე რამეთუ არა იცით დღე იგი არცა ეამი, რომელსა შინა ძე კაცისა მოვიდეს.

4. „კვალად წმიდისა გიორგისა არს წამება უცხო და უცხონი საქმენი ჰსწერიან, რომელსა დადიანესი ეწოდებინს. ხოლო წამებაჲ ჭეშმარიტი წმ. გიორგისა, რომელი ეკლესიათა შინა იკითხების, იგი არს, რომელ დიოკლეტინეს მიერ იწამა“. (საბინინი, საქართველოს სამოთხე, პ. 1882 წ. გვ. 433).

5. ყოველ შემთხვევაში დასაწყისი გიორგი მთაწმიდელის თარგმანის (კეკელიძე, 232) უდგება სვიმონ მეტაფრასტის ტექსტს.

6. ვითომ მარტვილის მონასტერში უნდა იყოს წმ. გიორგის ხატი (ფრესკა?) მე-6--7 საუკ. აგრეთვე ვალეს ეკლესიაში ახალციხის ახლოს (ამავე დროიდან?) (ვეზენდონკი, 96), მაგრამ ამ ხატების შესახებ ვეზენდონკს დანამდვილებითი თქმა არ შეუძლია: — წარმოადგენენ ისინი თუ არა წმ. გიორგის ხატს. მე-11 საუკუნიდან წმ. გიორგის ხატები უფრო ხშირია.

7. იხილეთ საეკლესიო მუხ. ხელ. (დღეს სიძველეთა მუზეუმი), 222, 59-60. კეკელიძე. მონუმენტა 38-39.

### ქებათა ქება

ამ წიგნის სახელია უფრო „შაირთა შაირი“, ვინაიდან ებრაული „შირ“ (წიგნს ჰქვია ებრაულად „შირ ჰაშირიმ) და არაბულად „შაირუნ“ უდრიან არა მხოლოდ ფილოლოგიურად, არამედ ეტიმოლოგიურადაც ჩვენ „შაირს“, რომელიც სემიტურ წარმოშობისა უნდა იყოს. ესეთი თარგმანიც გააადვილებდა ძლიერ თვით წიგნის შინაარსის გაგებასაც, რომელიც არის კრებული გრძელი ან მოკლე შაირების, საერო შინაარსის პასტორალი, მაგრამ რადგან დღეს ჩვენ ერში ამ შაირს და შაირობას აქვთ უკვე დაკარგული რუსთველის დროის „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთოდ საღმრთო გასაგონი“-ის მნიშვნელობა, ვტოვებ ძველ სახელს „ქებათა ქება“-ს.

ეს ქებანი შეგროვილია ხალხში ვილაც უცნობ რედაქტორის მიერ და მაინც და მაინც ძლიერ სისტემატიურად

დალაგებულნი არ არიან და არც (ეს უკვე ნაკლია გადმოცემის) შეუბღალავად და უცთომილოდ გარდმოცემული, ზოგიერთ ადგილას ტექსტი შერყვნილია, ძლიერ ძნელად სათარგმნი და ესეთი ადგილები ჩავსვი ფრჩხილებში.

ამ ქებებს მღეროდენ აშულები ე. ი. პროფესიონალური მომღერლები, მომეტებულ წილად ქორწილის დროს რომელიც გრძელდებოდა ურიასტანში ერთი კვირა და რომლის დროს სიძეს ერქვა სახელად „მეფე“ (ისე როგორც ჩვენშია). რასაკვირველია, იქნებოდნენ გავრცელებულნი სხვა ბევრი შაირებიც, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ ესენი არიან ცნობილნი. შეიძლება ესენი იყვნენ უკეთესნი სხვა შაირებზედ ან შეიძლება ესენი ეკუთვნიან მხოლოდ ერთ პროვინციას, სადაც თვით რედაქტორი სცხოვრობდა ან და მწყემსური მოსახლეობა იყო. შეიძლება რამოდენიმე ამ შაირის ეკუთვნოდნ სოლომონს, როგორც შესავალშია ნათქვამი, მაგრამ აქ მე მგონია, სოლომონი არის მხოლოდ სინონიმი ახალგაზრდობის, ძალის და სიყვარულის. ასეა თუ ისე, ჩვენ თვალწინ უუძველესი პოეზიაა კაცობრიობის და იმავე დროსაც უულამაზესიც. ჩვენ თვალ წინ იშლება სრულიად ბუნებრივი სიყვარული ორ სქესის შორის — ორ ახალგაზრდა არსებათა შორის მხოლოდ სიყვარულისათვის და ნაყოფისათვის.

სურათი დახატული წააგავს ჩვენ ქვეყანას, მის ბუნებას და სილამაზეს. ამ წიგნის თარგმნა უფრო იყო საქმე დახელოვნებული მგოსნის, ქართული ენის კარგ მცოდნის და ერის კაცის, ვიდრე სასულიერო პირის, მაგრამ, როდესაც ეს წიგნი ვთარგმნე, ერის კაცი ვიყავ და მეორე მხრივ, თუ ველოდეთ, რომ რომელიმე მგოსანი გადასთარგმნის ამ წიგნს, ეს ლოდინი შეიძლება ძლიერ ხანგრძლივი გამოდგეს. ყოველ შემთხვევაში, არა მგონია, რომ ჩემმა თარგმნამ ხელი შეუშალოს სხვას ეს წიგნი ხელ-მეორედ სთარგმნოს.

უფრო სხვა გარემოება მაყოყმანებდა ამ თარგმანის გა-

მოცემას. ესაა ის, რომ ზოგი ადგილი არაა ზედმიწევნით თარგმნილი, მაგრამ როდესაც შევადარე სხვა თარგმანებში ამ წიგნს: გერმანულად, ფრანგულად თუ ინგლისურად და შევადარე ეს თარგმანები თვით ორიგინალს, დავინახე, რომ არც ერთი თარგმანი არ იყო ისეთი, როგორც უნდა ყოფილიყო და ამ გარემოებამ უფრო გამაბედინა ამ თარგმანის გამოცემა.

„ქებათა ქება“ მოთავსებულია ბიბლიურ წიგნთა კანონში. როგორც ერთი პატარა და სრულიად დამოუკიდებელი წიგნაკი. როგორ მოხვდა ეს წიგნი საკრალურ წიგნთა კანონში, არ ვიცი. ვიცი მხოლოდ ის, რომ მისტიური განმარტება ამ წიგნის სიყვარულზე მწყემსისა და მის დანიშნულს შორის, გადატანილი ღმერთზე და ებრაულ ერზე, ისწავლეს ქრისტიანებმა ებრაელებისაგან და ვადაიტანეს შემდეგ ქრისტეზე და მის ეკლესიაზე. დეტალები. ხანდისხან ძლიერ საინტერესო და ღრმა; ამასთან მისი განმარტება ქრისტიანულ თეოლოგიურ ლიტერატურაში არსებული. ჩვენ დღეს ძლიერ შორს წაგვიყვანდა და სცილდება სრულიად ამ ჟურნალის ფარგლებს.

ებრაულ საეკლესიო კანონში შეტანამ გადაარჩინა დალუპვისაგან ეს უუძველესი და უუმშვენიერესი პოეზია, წიგნი სავსე სიხარულით, სიყვარულით და მზით, რომელსაც მთელ მსოფლიო ლიტერატურაში ბადალი არა ჰყავს.

ჩვენში არსებობს შემდეგი გამოცემანი ამ წიგნის (ე. ი. მე მქონდა ხელთ ტექსტის დამუშავების დროს):

ა) ათონის ბიბლიიდან 978 წ. (უუძველესი ქართული ბიბლია, ინახება ათონის მთაზე) გამოცემა „ქებათა ქები“-ს პრ. ცაგარელის მიერ. სვედენია ო პამიატნიკახ გრ. პისმენნოსტი. (სპბ. 1886. გვ. 17-56).

ბ). ეს ათონის ბიბლია მე-19 საუკ. პირველ ნახევარში მიიტანა ტფილისში პლ. იოსელიანმა. სადაც გადაიღეს მისგან სამი კოპიო. ერთი ამ კოპიოთაგანი ეკუთვნის წერაკითხვის გამავრც. საზ.-ას, რომელიც გამოცემულია კიტა

1 აბაშიძის წინასიტყვაობით. „ქებათა ქება“. თქმული სო-  
ლომონის. (ტფ. 1909). (1-6 წინასიტყვაობა, 7-24 ტექს-  
ტი, 25-31. დრამატიული პოემა ალ. შანშიაშვილის). აბა-  
შიძის ტექსტი უდგება ცაგარლის ტექსტს. ხან და ხან კი  
იგი იღებს ტექსტს ბაქარის ბიბლიიდან. ვინაიდან იგი ამას  
არ აღნიშნავს ხოლმე მის გამოცემას ეკარგება ღირებუ-  
ლება. (მაგ. 1.10, კ. აბაშიძე: „მსგავსი ოქროისა გქმენით  
შენ საჭრელითურთ ვეცხლისა“ ამოღებულია ბაქარის ბი-  
ბლიიდან. იგივე ადგილი ცაგარელთან: „ქნულებასა ოქ-  
როისასა გამსგავსით შენ დაწულილად დაცემულსა (ძაფ-  
ზედ) ვეცხლსა“ .შეად. ჩემი თარგმანი.)

გ) ბაქარს ჰქონდა ხელთ ქართული ბიბლიის ხელნაწე-  
რები, შეიძლება უძველესნიც ათონის ბიბლიაზედ, მაგრამ  
მან ზოგიერთი ადგილების თარგმნას მაინც არჩია რუსუ-  
ლიდან და სამწუხარო ისაა ამასთანავე, რომ მან არც რუ-  
სული იცოდა კარგად. კუროზული ადგილები მოიყვანა  
პირველად პრ. ცაგარელმა, შემდეგ ეპის. პეტრე ყონჩუა-  
შვილმა (მოამბეში? 1900?) და ბოლოს პრ. კეკელიძემ  
თავის ლიტ. ისტორ. 1. (ტფ. 1923). საჭირო არაა. ესენი  
აქ გავიმეორო. მაგალითისთვის მხოლოდ ერთია საკმარი-  
სი: 2.1. ბაქარის. ყვავილი სავსე (რუს. ცვეტ პოლნი - პო-  
ლე — მინდორი, ველი, მათ გაიგეს როგორც პოლნი —  
სავსე და ბევრი ამგვარი).

დ) პრ. აკ. შანიძე, ქებათა ქებათასა, პალეოგრაფიული  
რვეული (ტფ. 1924) . ლიტოგრაფიული გამოცემა. ხელ-  
ნაწერი თვით გადაწერილია 1188 წელს და ინახება სიძვე-  
ლეთა მუზეუმში. ტფილისში (№65).

ძველ თარგმანებში ამ წიგნს „კურთხევაჲ კურთხევა-  
თაჲ“ ჰრქმევია (შეადარე სომხური: ორჰნუტიუნ-ორჰნუ-  
ტიან). იხილე მარრის გამოცემა, „ფიზიოლოგის“ (პეტრ.  
1904) გვ. 46 და 32,1-2. (ამ ცნობისათვის დიდ მადლობას  
ვუცხადებ პრ. ექ. თაყაიშვილს). სამწუხაროდ, ამ დროის  
თარგმანთთ ჩვენამდე არ მოუღწევიათ.

დასასრულს ჩემთვის სასიამოვნო მოვალეობაა გამოვუცხადო მადლობა ბ. შალვა ამირეჯიბს, რომელმაც კეთილინება და დამეხმარა სტილის დამუშავებაში და აგრეთვე რამოდენიმე ადგილას სიტყვების შერჩევაში.

ფრჩხილებში ჩასმული ჩემთვის გაუგებარი ადგილებია (სახელდობრ 6,12 მეორე ნახევარი): სხვაგან ფრჩხილებში ჩასმულია ყველა ის, რაც თვით ორიგინალ ტექსტს არა აქვს და ჩემ მიერაა ჩამატებული.

დიდი განსხვავება ძველ ქართულ თარგმანებსა და ჩემ თარგმანს შორის აიხსნება აგრეთვე მით, რომ ძველი თარგმანი ბიბლიის (ყოველ შემთხვევაში „ქებათა ქების“ ცნობილი ვერსიები) მომდინარეობენ ბერძნულიდან (უკეთ შესწორებულნი არიან ბერძნული თარგმანის მიხედვით), ჩემი თარგმანი კი უშუალოდ ძველი ებრაულიდანაა.

## ჰებათა - ჰება

### 1,1 ჰებათა - ჰება სოლომონის

(**ჰება 1**). 1. ამბორ მიყოს მე ამბორითა პირისა თვისითა. რადგან შენნი აღერსნი ღვინოზედ უტკბესია! 2. ამოა სუნნელება შენ ნელსაცხებელთა. სახელი შენი: ნელსაცხებელი დათხეული. ამის გამო შეგიყვარეს შენ ქალწულთა. 4. მიჩვენე პირი! გავიქცეთ! მეფემ შემიყვანა თავის საწოლში. (გუნდი) ვიხარებდეთ და ვიშვებდეთ შენთვის. ვაქებდეთ შენს აღერსს ღვინოზედ უფრო. სიყვარული ალალ შენთვის.

(**ჰება 2**). 5. შავ ვარ და ეშხიანი, ასულნო იერუსალიმისნო, ვით კარავნი ნაძვის, ვით კრეტსამბელნი სოლომონისნი. 6. ნუ მიწუნებთ მე, რადგან გაშავებული ვარ: მე

მზემ გამაშავა. დედი-ჩემის ძენი მაუგნებდეს მე. დამად-  
გინეს მე მცველად თავიანთ ზვრების. ჩემ საკუთარ ზვარს  
კი არ ვიცავდი.

(ქება 3) 7. მარქვი. გეთაყვა. რომელ შეიყვარა სულმან  
ჩემმან: სად აძოვებ? სად ისვენებ სამხრობას? როდემდის  
უნდა ვიხეტილო დაჩადრული, ფარათა შორის შენი მე-  
გობრების.

(პასუხი). 8. თუ არ იცი შენ, მშვენიერი, დედაკაცთა  
შორის, გაჰყევ ცხვრების კვალს და აძოვე შენი თიკნები  
მწყემსების ბინებთან.

(ქება 4). 9. ჩემ ფაშატს ფარაონის ეტლში შებმულს  
გამსგავსებ შენ, ჩემო მეგობარო. 10. ეშხიანნი არიან შენი  
ლაწვნი, როგორც მარგალიტი, შენი ყელი მორთული ძე-  
წკვით. 11. ჩვენ გაგიკეთებთ ოქროს სამაჯურს ვერცხლის  
წერტილებით. 12. სანამდის მეფე იჯდა ინახით, ნარდიონ-  
მან ჩემმა გამოსცა სუნნელება თვისი. 13. კონა მირონის  
არის ჩემი საყვარელი ჩემთვის, შორის ძუძუთა ჩემთა გა-  
ნვასვენო! 14. მტევანი კვიპაროზთა არის ჩემი საყვარელი  
ჩემთვის: ენგადდის ზვართაგან. 15. რა ლამაზი ხარ შენ  
ჩემო საყვარელო, რა ლამაზი ხარ! თვალნი შენი მტრედის.  
16. რა ლამაზი ხარ შენ ჩემო საყვარელო, კვალად მშვე-  
ნიერ! მწვანე ბალახია ჩვენი ცხედარი. 17. ნაძვნი არიან  
ჩვენი ბინის სვეტნი, კვიპაროზ კერი ჩვენი.

(ქება 5). 2,1. მე ვარ ყვავილი სარონის, შროშანი ლე-  
ლეთა! 2. როგორც შროშანი შორის ეკალთა, ეგრეთვეა  
ჩემი მეგობარი შორის ქალთა. 3. როგორც ვაშლის ხე  
შორის ხეთა ტყის, ეგრეთვეა ჩემი მეგობარი შორის ვაჟთა-  
მის ჩრდილში მე მსურს განსვენება და მისი ნაყოფი ტკბი-  
ლია ჩემ სასასთვის.

(ქება 6). 4. მან შემიყვანა მე სალხინო სახლში, და მისი  
ნიშანი მასზედ: სიყვარული იყო. 5. დამანაყრეთ მე ჩა-  
მიჩით ყურძნისა, დამაცხრეთ მე ვაშლებით, რადგან სნე-  
ული ვარ სიყვარულით. 6. მისი მარცხენა ჩემ თავის ქვეშ

და თვისი მარჯვენით მეხვეოდეს მე. 7. გაფუცებთ თქვენ ასულნო იერუსალიმისანო ქურციკებზედ ან ფურ-ირმებზედ ნუ გააღრევეთ და ნუ გააღვიძებთ სიყვარულს, სანამ მას თვით არ მოუსურვებია.

(ქება 7. სცენა გაზაფხულზედ). 8. ხმა ჩემი საყვარლის (ისმის). შეხე! იგი მოდის. მორბის მთებზედ, ახტება ბორცვებს. 9. ჩემი საყვარელი ემსგავსება ქურციკს ან ირმის ნუკრს. შეხე! იგი უკვე სდგას ჩვენ ყორეს უკან... იხედება სარკმლით. იხვერება არდაბაგით. 10. ჩემი მოყვასი ხმას იღებს და მეუბნება: აღდეგ ჩემო მეგობარო, ჩემო ლამაზო. გამო! 11. რადგან შეხე! ზამთარი წარვიდა. წვიმამ გადაილო, წარხდა იგი. 12. ყვავილნი გამოჩნდნენ მიწაზედ, ჟამი სხლვის მოიწია, და გვრიტის ხმა ისმის ჩვენს ქვეყანაში. 13. ლელვმან გამოილო კვირტი და ვაზნი ავრცელებენ სუნნელებას, აღდეგ ჩემო მეგობარო, ჩემო ლამაზო გამო. ქედანო სალ-კლდის ნაპრაღში, დაფარულო კლდის ზღუდით, დამანახვე შენი სახე. გამაგონე შენი ხმა, რადგან ჩენი ხმა საამოა და ჩენი სახე ეშხიანი.

(ფრაგმენტები 8, 9, 10 ქების). 15. დაიჭირეთ მელიები, პატარა მელიები მაოხრებელნი ზვრების და ჩვენი ზვრები კი სწორედ ჰყვავიან. 16. ჩემი საყვარელი ჩემია და მე ვარ მისი, ის აძოვებს შროშანთა შორის. 17. სანამ დღე შეგრილდება და ჩრდილნი ივლტიან, მოიქეც, ემსგავსე შენ ჩემო საყვარელო, ქურციკს ან ირმის ნუკრს მთის ნაპრალებზედ.

(ქება 11). 3,1. ჩემს ლოგინზედ ლამით ვეძებდი (მას), ვინც შეიყვარა სულმან ჩემმან, ვეძებდი მას და ვერ ვიპოვე იგი. 2. ავდექ მაშინ და დავძრწოდი ქალაქში, ქუჩებში და მოედნებზედ. ვეძებდი (მას), ვინც შეიყვარა სულმან ჩემმან, ვეძებდი (მას) და ვერ ვიპოვე იგი. 3. წავაწყდი გუშაგებს, რომელნიც უვლიდნენ ქალაქს: „ინახულეთ თუ არ ის, რომელიც შეიყვარა სულმან ჩემმან?“ 4. იმ წამსვე, რა გავცილდი მათ, ვიპოვე (იგი), რომელ უყვარს ჩემს სულს.

დავიჭირე იგი და არ უშვებდი მას. სანამ არ მივიყვანე იგი  
დედა ჩემის ბინაზედ. ოთახში მის. რომელიც მე მატა-  
რებდა. 5. გაფუცებთ თქვენ, ასულნო იერუსალიმისნო,  
ქურციკებზედ ან ფურ-ირმებზედ ნუ გააღრევეთ და ნუ  
გააღვიძებთ სიყვარულს, სანამ მას თვით არ მოესურვება.

(ქება 12). 6. ვინ არის იგი აღმომავალი უდაბნოდგან,  
გამოიყურება. როგორც კორიანტელი მტვრის კმეული  
მირონის და გუნდრუკისგან სხვა და სხვა სუნნელოვან ბა-  
ლახთაგან. 7. შეხე: ეს ცხედარია სოლომონის (და) სამო-  
ცი გმირია მის გარშემო ვაჟკაცთაგან ისრაელის. 8. ყვე-  
ლანი მახვილით შეიარაღებულნი გამოწრთენილნი ბრძო-  
ლებში, თვითეულს (უპყრია) თვისი ხმალი მხარსა თვისსა  
საფრთხისა გამო ღამის. 9. ერთი სარეცელი შექმნა მეფე-  
მან სოლომონ ძელთაგან ლიბანისა. 10. მის სვეტნი შე-  
ქმნა მან ვერცხლისაგან, მისი დასაყრდენი ოქროსგან, მი-  
სი საჯდომი ძოწისაგან. შინაგანი მისი ტრფიალებით ნა-  
ქარგია ასულთაგან იერუსალიმის. 11. გამოდით გარედ  
ასულნო სიონით და ინახულეთ მეფე სოლომონ გვირგვი-  
ნოსანი, რომლით შეამკო იგი მისმა დედამ. დღესა ბინა  
მისი სიძობის და დღესა ბინა მისი გულის წადილის ასრუ-  
ლების.

(ქება 13). 4,1. რა ლამაზი ხარ, შენ ჩემო მეგობარო, შე-  
ხე რა ლამაზი ხარ, თვალნი შენი არიან მტრედისანი შე-  
ნი პირბადის უკან. შენი თმა თხის ფარაა, რომელიც ისვე-  
ნებს გილეადის მთაზედ. 2. შენი კბილნი ფარაა გაპარ-  
სულ ცხვართა, რომელნი აღმოსრულ არიან საბანელით.  
ისინი ატარებენ ტყუპებს და ბერწი არაა მათ შორის. 3.  
ვითარცა ძოწეულის საბელია ბაგენი შენი და საუბარი  
შენი კეთილ. შენი ღაწენი ბროწეულნი არიან, დამსკდარ-  
ნი შენი პირბადის უკან. 4. შენი ყელი დავითის გოდოლია  
აღნაგი არყნალთან, ათასი ფარია მასზედ თვითეული სა-  
ჭურველი ძლიერის. 5. ძუძუნი შენი: შველის ორი ნუკრი,  
ტყუპნია ქურციკის, რომელიც სძოვს შროშანთა შორის.

6. მინამ დღე აგრილდება და ჩრდილნი ივლტიან. მსურს მე წასვლა მირონის მთაზედ. ბოცვზედ ლიბანის. 7. ყოვლად მშვენიერ ხარ, ჩემო საყვარელო, და არავითარი ნაკლი არა გიძს შენ.

(ქება 14). 8. მოდი ჩემთან ერთად სძალო ლიბანით. მოდი ლიბანით, გადაიხედე მწვერვალისაგან ამანის, მწვერვალისაგან შანიმის და ჰერმონის ლომების ბინებიდან, აფთრების მთებიდან. 9. ჩემი გული მოიტაცე შენ ჩემო დაო დანიშნულო, ჩემი გული მხოლოდ ერთი შეხედვით შენი თვალის, მხოლოდ ერთი მძივით შენი ძეწკვის. 10. რა რიგ სასიამოვნო არიან ალერსნი შენნი ჩემო დაო დანიშნულო, რა რიგ კეთილ არიან შენი ალერსნი: ღვინოზედ უფრო და სუნნელება შენ ნელსაცხებელთა ყოველ ნელსაცხებელს აღმატება. 11. გოლს აწვეთენ შენი ბაგენი სძალო, თაფლი და რძეა შენ ენის ქვეშ და სუნნელება შენ სამოსელთა ლიბანის სუნნელებას ემსგავსება.

(ქება 15). 12. დაკეტილი მტილია ჩემი და დანიშნული დახშული მტილია, დაბეჭდილი წყარო. 13. წალკოტი მოცინარე, შემორტყმული ბროწეულებით, ნაყოფი ხეხილთა საუცხოვო, კვიპაროზი ნარდიონითურთ. 14. ნარდიონი და ზაფრანა, საკმეველი ლერწამი და კინამო. იქ ყოველი მფშველი მცენარეა, მირონი და ალოფ გრევიან სუნნელოვან ნერგებს. 15. წყაროა წალკოტის, ჭაა ცხოვრების წყლის აღმოფეთქილი ლიბანისაგან. 16. გაიღვიძე ჩრდილოეთის ქარო, სამხრეთის ქარო დაჰბერე! შეარხიე ჩემი ბალი. რათა აწვეთონ მის ნელსაცხებელთა. ჩემი საყვარელი მოვიდეს თვის ბალში და სჰამოს ნაყოფი მისი საუცხოვო.

(პასუხი) 5,1. მე მოვალ ჩემ ბალში ჩემო დაო, დანიშნულო, დავკრებ ჩემ მტრს ნელსაცხებელითურთ. ვჰამ ჩემ ჩაშაქრებულ (ხილს), ჩემ თაფლითან ერთად დავლევ ჩემ ღვინოს ჩემ რძითურთ, ჭამეთ არიფნო და სვით და დაითვერით სიყვარულით.

(ქება 16. სიზმარი და გაღვიძება). 2. მე მძინავს და ჩემი გული კი მღვიძარება. ხმა ჩემი საყვარლის (ისმის): ის აკაკუნებს „გამილე ჩემო დაო. ჩემო საყვარელო, ჩემო გვირიტო. ჩემო უმანკო. რადგან ჩემი თავი აივსო ცვარით და ჩემი ხუჭუჭა ღამის წვეთით“. 3. „გავიხადე ჩემი ტანსაცმელი. ვანა იგი უნდა ჩავიცვა ხელმეორედ! დავიბანე ჩემი ფეხები, უნდა გავისვარო იგი ვანა!“ 4. ჩემმა საყვარელმა შეჰყო თავის ხელი ფანჯრით და მე გული შემიწუხდა მისთვის. 5. მე ავდექი ჩემი საყვარლისთვის კარის გასაღებად და ჩემი ხელნი აწვეთდნენ მირონს, ჩემი თითნი საუკეთესო მირონს კარის კლიტეზედ. 6. მე გაულე ჩემ საყვარელს და ჩემი საყვარელი კი უკვე წასულიყო. ჩაიარა. ჩემი გული აჰყვა მის ლაპარაკს (ეს იყო ზმანება)... ვეძებდი მას და ვერ ვიპოვე იგი. ვეძახდი მას და პასუხი არ გამცაა. 7. წამაწყდნენ გუშაგნი, რომელნიც უვლიდნენ, მცემეს მე და დამჭრეს, მოიღეს ჩემი პირბადე ჩემგან დარაჯებმა ზღუდის.

(ქება 17. დიალოგი დანიშნულის იერუსალიმის ქალებთან). 8. გაფუცებთ თქვენ ასულანო იერუსალიმით, თუ ჰპოოთ ჩემი საყვარელი. რას ეტყვიტ მას? მე ავად ვარ სიყვარულით! 9. „რთ განირჩევა შენი საყვარელი საყვარლებისაგან. მშვენიერო დედაკაცო შორის, რით განირჩევა შენი საყვარელი საყვარლებისაგან, რომ ამ რივად გვაღუცებ ჩვენ“ 10. „ჩემი მეგობარი თეთრია და წითელი, ის ირჩევა ათი ათასთა შორის. 11. თავი მისი რჩეული ოქროა, მისი ხუჭუჭი ყორანივით შავი. 12. თვალნი მისნი: ვითარცა მტრედნი წყაროსა ზედა; მბანავნი რძეში, ვითარცა ამოქანდაკებულნი ხელოვნების კოლოფზედ. 13. რაწვნი მისნი ვითარცა ფიალნი ნელსაცხებელთა, აღმომცენარნი სუნნელოვან ბალახთაგან. ბაგენი მისი შროშანის, რომლიდანაც აღმოიფშვინვის საუკეთესო სუნნელები. 14. მისი ხელი მოთლილი ოქროა, მოცული ლალით. მისი მუცელი ხელოვნების ნივთია, სპილოს ძვლის მოდებული საფირონით. 15. წვიენი მისნი მარმარილოს სვე-

ღნია კვარცხლბეკსა ზედა ოქროსა აღმართულ. შესახედა-  
ვად, როგორც ლიბანი, საგანგებო, ვითარცა ნაძენი. 16.  
სასა მისია ტკბილი და თვით იგი მხოლოდ სიყვარულია.  
ასეთია ჩემი საყვარელი. ასეთია ჩემი მეგობარი, ასულნო  
იერუსალიმით“.

6,1. „სად წავიდა შენი საყვარელი. მშვენიერო დედა-  
კაცო შორის. სადთ მიიქცა შენი საყვარელი, ჩვენ გვსურს  
ვეძიოთ იგი შენთან“. 2. „იგი შთავიდა თავის წალკოტში  
მწყსად ბაღნართა და დაკრებად შროშანთა. 3. მე ვეკუთ-  
ვნი ჩემ საყვარელს და ჩემი საყვარელი ჩემია, ის ამოვებს  
შროშანთა შორის“.

(ქება 18) 4. ლამაზი ხარ, შენ ჩემო საყვარელო, რო-  
გორც ტირცა, ეშხიანი ვითარცა იერუსალიმი, საშინელი,  
როგორც ომისთვის განწყობილნი. 5. მომარიდე შენი თვა-  
ლები ჩემგან, ისინი მაქეზებენ მე. შენი თმა ფარაა თიკან-  
თა, დაბანაკებული გილეადს. 6. შენი კბილნი ფარაა  
ცხვართა მორისულთა, რომელნიც აღმოსრულ არიან სა-  
ბანელით, ისინი ატარებენ ტყუპებს და ბერწი არაა მათ  
შორის. 7. გადამსკდარი ბროწეულია ლაწვი შენი. შენი  
პირბადის უკან. 8. სამოცნი არიან დედოფალნი და ოთხ-  
მოცნი ხარჭანი და ქალწულთა არა აქვთ რიცხვი. 9. ჩემი  
მტრედი კი მხოლოდ ერთია, ჩემი უმანკო. ის ერთად ერ-  
თია თვის დედის. წმიდა მათ შორის, რომელნიც მან დაჰ-  
ბადა. ასულთა იხილეს იგი და ჰნატვრიდენ მას, დედო-  
ფალთა და ხარჭთა ადიდეს იგი. 10. ვინაა იგი, რომელი  
გამოიციქირება, როგორც ცისკარი, ლამაზია ვითარცა  
მთვარე, მშვენიერი, როგორც მზე, საშინელი, როგორც  
ომისთვის განწყობილნი. 11. მე ჩავედი კაკლოვანში, რომ  
მენახა სიმწვანე ღელის, გამოილო თუ არა, კვირტი ვაზმა,  
ჰყვავიან თუ არა ბროწეულნი. 12. რაც არ ვიცოდი, ის  
განვიცადე (იქ) (ეტლსა ზედა ჩემი კეთილშობილი ერის).

(ქება 19) 7,1. მოიქეც. მოიქეც სულამიტ, მოიქეც. მო-  
იქეც, რათა ჩვენ ვიხილოთ მშვენება შენი. „რად გსურთ

თქვენ სულამიტის მშვენიერების ჭვრეტა. როდესაც იგი როკავს მეომართა ცეკვას?“ 2. რა მშვენიერ არიან შენი ნაბიჯნი ქალამანში. შენ, კეთილშობილო ქალო! გამოხატულება შენ წელთა წააგავს ყელის ძეკვს. ქმნულს ხელთაგან ხელოვანთა. 3. შენი წიაღი ფიალაა, სავსე კეთილსუნნელოვან ღვინით. შენი მუცელი ხვავია იფქლის, მოჩარჩული შროშანით. 4. შენი ორნი ძუძუნი ორი შვლის ნუკრია, ქურციკთა ტყუპი. 5. შენი ქედი სპილოს ძვლის გოდოლია, თვალნი შენი, ვითარცა ტბანი ნეშბონის, ბჭეთა ზედა ბატრაბიმის. შენი ცხვირი ლიბანის გოდოლია, დამასკოსაკენ გამყურებელი. 6. თავი შენი კარმელია. თმა შენი თავის სამეუფო ძოწეულია, ნაოჭებით შეკრული.

(ქება 20). 7. რა სასიამოვნო ხარ და რაბამ ტკბილ, სიყვარულო განცხრომათა შორის! 8. იგი შენი ტანი ემსგავსება ფინიკს და შენი ძუძუნი მტევნებს. 9. მე ვთქვი: მსურს ფინიკზედ აცოცვა და მასი ტოტების მოწვდენა, შენი ძუძუნი დაემსგავსებიან მტევნებს და ყნოსვა შენი ცხვირის: ვაშლთა. 10. დამისხი ღვინო საუკეთესო, ღვინო სინაზით მდინარი ჩემ საყვარელსთვის. რომელ აგრილებს ჩვენ ტუჩებს ჟამსა შინა ძილის.

(ქება 21). 7. მე ვეკუთვნი ჩემ საყვარელს და მისი სურვილი ჩემსკენაა. 12. მოდი, ჩემო საყვარელო, გავიდეთ ველად, დავიძინოთ სოფლებში. 13. განთიად წავიდეთ ზვარში სანახავად: გამოიღო თუ არა ვაზმა კვირტი, თუ დაიწყო ყვავილობა, თუ ჰყვავიან ბროწეულნი. იქ გაჩუქებ მე შენ ჩემ სიყვარულს. 14. სიყვარულის ვაშლნი ავრცელებენ სუნნელებას. და ჩვენ კარ-ზევით ყოველგვარი კეთილშობილი ხილია, ახალი და ძველი (ხილი), შეგინახე მე შენ ჩემო საყვარელო.

(ქება 22). 8,1. ნეტავ შენ ყოფილიყავ ჩემი ძმობილი, რომელმაც სწოვა ძუძუნი ჩემი დედის. როს გიპოვნიდი, ქუჩაში დაგიწყებდი კოცნას (და) მე არავინ დამძრახავდა. 2. დაგიჭერდი შენ, წაგიყვანდი დედი ჩემის ოთახში. ის

მე მასწავლიდა: ჩენ სმას შეზავებული ღვინით, ჩემი ბროწეულის კაწახით. 3. მისი მარჯვენა ჩემ თავის ქვეშ და თავისი მარცხენით მიხვევა მე. 4. გაფუცებთ თქვენ, ასულნო იერუსალიმისნო, გსურთ თქვენ სიყვარულის გაღღვიძება ან და მისი გაღრევა! სანამ მას თვით არ მოესურვება!

(ქება 23). 5. ვინაა იგი, აღმოშავალი უდაბნოდან, დაყრდნობილი თავის მეგობარზედა. ვაშლოვანში გაგაღვიძე მე შენ, იქ გიცდიდა მშობიარობის ტანჯვას დედა შენი შენთვის. იქ გიცდიდა ჯანჯვას ის, რომელმაც შენ გშვეს! 6. მატირე მე, როგორც ბეჭედი შენ გულზედ, ვითარცა ბეჭედი შენ მკლავზედა. რადგან სიყვარული ძლიერია სიკვდილზედ და ეჭვიანობა მას დასდევს უკან აჩრდილივით. მისი ცეცხლი მწველია. ამ ცეცხლის ამნთებელი იეჰოვაა თვითონ. 7. წყალთა ღვარს ვერ ძალუძთ დაშრეტა სიყვარულის და მდინარენი ვერ დაახრჩობენ მას. თუ კაცმა მთელი სიმდიდრე თავის სახლის მისცა სიყვარულისათვის, იგი მხოლოდ შესბრალელებელია.

(ქება 24). 8. ჩვენ გვყავს პატარა და. და ძუძუნი არა აქვს მას (ჯერ). რა უნდა უყოთ მას იმ დღეს, როდესაც დაიწყებენ მასზედ ლაპარაკს. 9. თუ იგი ზღუდია, დავადგათ მას გვირგვინი ვერცხლის, თუ იგი კარია, მივაყუდოთ მასზედ ფიცარი ნაძვისა. 10. „მე ვარ ზღუდე და ჩემი ძუძუნი არიან ვითარცა გოდელნი.“ „ვარ თუ არა მე ჩემ საყვარლისთვის წყარო ბედნიერების?“.

(ქება 25). 11. ზვარი ერთი ჰქონდა სოლომონს ბაალჰამონში. მან გადასცა ზვარი მცველებს. თვითეულს უნდა მისი ნაყოფისთვის ათასი ვერცხლი გამოელო. 12. ზვარი კი, რომელიც მე მომანდეს, ჩემ წინაშეა. ათასი ვერცხლი შენ, სოლომონ! და ორასი მცველთ მისი ნაყოფის!

(ქება 26). 13. შენ, რომელიც ბალებში სცხოვრობ! მოყვასნი ისმენენ შენ ხმას, გამაგონე მეც იგი. 14. გამოიქეც, ჩემო საყვარელო და დაემსგავსე ქურციკს ან ირმის ნუკრს ნელსაცხებელთა მოებზედ.

გრ. ფერაძე

### სიტყვების განმარტებანი:

ალო — სუნნელოვანი მცენარე. არდაბაგი — ხარისხი  
გინა ფანჯარა. კაწახი — მუავე წვენი. კვარცხლბეკი —  
ფეხის სადგმელი. კრეტსაბმელი — კარის ფარდაგი, ფარ-  
და. კინამო — ყვაილი სუნნელი. მორისული — გაპარ-  
სული. როკვა — ცეკვა. ხარჭა — ცოლის გარდა სხვა ქა-  
ლი

### გეოგრაფიული ტერმინები:

ამანი, ბაალჰამონი, გილეადი, კარმელი, ლიბანი. —  
ნეშბონი, ტირცა, შანიმი, ჰერმონი. გეოგრაფიული სახე-  
ლები უნდა იყვნენ: „ფთრების მთები“, „ლომების ბინა“.

იეჰოვა — ერთ-ერთი სახელია ღმერთის.

2.5. „ჩამიჩით ყურძნისა“ ოსე 3.1 და საბას ლექ. არის  
„ჩ. ყ.“ მაგიერ „ნაგუდალნი ყურძნისანი“. მაგრამ ერთი  
და იგივე უნდა იყოს.

ზოგ ტექსტში „სხვლის“ მაგიერ იხმარება (2,12) „სი-  
მღერის“-აა. მაგრამ მე უნდა პირველი ვარჩიე.

8.6. „შეოლ“ ნიშნავს ებრაულად ჯოჯოხეთს და აჩრ-  
დილსაც. უკეთ, აჩრდილთა ქვეყანა. მე ვამჯობინე თარ-  
გმნის დროს სიტყვა აჩრდილი ჯოჯოხეთს.

### უადგილობის გამო

✓ შემომწირველთა სია დაიბეჭდება შემდეგ ნომერში.

Imp. Basile, 1, Villa Chauvelot, Paris (15°)

